

სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

პროექტი წარედგინება:

ავსტრიის განვითარების სააგენტოს,
პროექტს GRETA|მწვანე ეკონომიკა:
მდგრადი სამთო ტურიზმი და
ორგანული სოფლის მეურნეობა
თბილისი, საქართველო

განმახორციელებელი კონსორციუმი:

კავკასიის საკონსულტაციო ჯგუფი,
ვანო ვაშაყმაძე,
დირექტორი/თანადამფუძნებელი
Tel: +995 599578449
v.vashakmadze@ccc.ge



სოლიმარ ინტერნეიშენალ.

ვაშინგტონი, აშშ
P: 202-518-6192
კრის სიკი, აღმასრულებელი
დირექტორი
c.seek@solimarinternational.com





წინასიტყვაობა

გვსურს გამოვხატოთ გულწრფელი მადლიერება და პატივისცემა ყველას მიმართ, ვინც თანამშრომლობდა სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში. აღნიშნული გეგმის შემუშავება შეუძლებელი იქნებოდა დაგეგმარების პროცესში ინფორმაციული მხარდაჭერის, სხვადასხვა ექსპერტის ინტელექტუალური წვლილის შეტანისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გარეშე. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით:

მესტიის მერსა და საკრებულოს წევრებს;
ლენტეხის მერსა და საკრებულოს წევრებს;
DMO სვანეთსა და მის სამეთვალყურეო საბჭოს;
საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას;
USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას;
მთის ტრასების სააგენტოს;
კურორტების განვითარების სააგენტოს;
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს;
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

განსაკუთრებული მადლობა პროექტ GRETA-ს გუნდს მუდმივი და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ასევე სხვადასხვა სამინისტროთა დეპარტამენტებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ენერგეტიკის, წყალმომარაგების, მყარი ნარჩენებისა და სახელმწიფო გზებისა და ტრანსპორტის საკითხებზე.

აკრონიმები

DMO	ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია
KPI	სამოქმედო გეგმის განხორციელების ინდიკატორი
GIS	გეოინფორმაციული სისტემები
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ITO	შემომყვანი ტურ-ოპერატორი
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MICE	შეხვედრები, საქმიანი ვიზიტები, კონფერენციები, გამოფენები
MoCSY	სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
MoESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MSME	მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმო
MoIA	შინაგან საქმეთა სამინისტრო
MTA	მთის ტრასების სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OTA	ონლაინ სამოგზაურო კომპანია
PPP	კერძო-საჯარო თანამშრომლობა
RDA	კურორტების განვითარების სააგენტო
SAVE	სამეცნიერო, აკადემიური, მოხალისეობრივი და საგანმანათლებლო მიმართულება
SRD	გზების სახელმწიფო დეპარტამენტი
SWMC	მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
TO	ტურ-ოპერატორი კომპანია
TBD	დასაზუსტებელია
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LSG	ადგილობრივი ხელისუფლება


UNWTO	გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UWSC	წყალმომარაგების სერვისების გაერთიანებული კომპანია

სარჩევი

წინასიტყვაობა	2
აკრონიმები	2
სარჩევი	4
შინაარსი	6
სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	10
სტრატეგიული მიზნები	10
1.0 ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები უკეთესი საცხოვრებელი/რეკრეაციული გარემოს შესაქმნელად	12
2.0 მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნა	19
3.0 პროფესიული მოთხოვნები და საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება	26
4.0 სვანეთის პოპულარიზაცია გლობალურ სათავგადასავლო ბაზარზე	33
5.0 ეფექტური დანიშნულების ადგილის მართვის პრაქტიკის დანერგვა	39
ტურისტული დანიშნულების ადგილი და საერთაშორისო განვითარების სააგენტოების პროგრამები	45
მართვის საერთაშორისო პრაქტიკა და მაგალითები	48
სამოქმედო გეგმები - სტრატეგიული ამოცანები და პრიორიტეტული აქტივობები	52

KPIs - სამოქმედო გეგმის განხორციელების ინდიკატორები	70
დანართი	78
სეზონური ტურისტული შესაძლებლობები	78
ზამთრის სეზონი	78
ზაფხულის სეზონი	79
ახალი ტურისტული ბაზრები და შესაძლებლობები	83
სამაგიდო კვლევის დოკუმენტები	85
რუკები	89

რუკა 1: სვანეთის ადგილმდებარეობა



შინაარსი

პროექტის კონტექსტი

ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი GRETA „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“. პროექტის ძირითადი საქმიანობაა [1] ორგანული სოფლის მეურნეობისა და მდგრადი სამთო ტურიზმის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; [2] შექმნას გაუმჯობესებული გარემო მდგრადი სამთო ტურიზმისა და ორგანულ სოფლის მეურნეობაში აქტიურად დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების განსავითარებლად. GRETA თავის პროექტებს ახორციელებს 2019 წლიდან დღემდე საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ონი, ამბროლაური, საჩხერე, ჭიათურა, ტყიბული.

პროექტმა GRETA-მ საკონსულტაციო ჯგუფთან (კავკასიის საკონსულტაციო ჯგუფი და სოლიმარ ინტერნეიშენალ) გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მზადდება ზემო და ქვემო სვანეთის (მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები) “ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა”. აღნიშნულ პროექტში პირველი ნაწილი ეთმობა არსებული სიტუაციის მოკვლევასა და ანალიზს, ხოლო მის მეორე-დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია სტრატეგიული ხედვა, 5 სტრატეგიული მიზანი, 42 ქმედება და 122 კონკრეტული აქტივობა, რომელთა მიზანია ხუთწლიან პერსპექტივაში სტრატეგიული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა. სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია სამუშაო ცხრილების სახით, რასაც თან ერთვის მონიტორინგის ინდიკატორების ჩამონათვალი.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

პირველი ევროპელი მოგზაურები სვანეთს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ესტუმრნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიელი, ინგლისელი, გერმანელი, ავსტრიელი, შვეიცარელი და ფრანგი მთამსვლელები და მკვლევარები. ამ პერიოდის მოგზაურთა შორის აღსანიშნავია დ.ვ. ფრემფილდის „კავკასიის აღმოჩენა“ სადაც 1860-1880-იანი წლების მოგზაურობა და ასვლებია აღწერილი, ვიტორიო სელას ისტორიული ფოტოები და მრავალი სხვა. ისევე როგორც ალპებში. ამ მკვლევართა დამსახურებაა სვანეთის გამოჩენა ტურისტულ რუკაზე. საბჭოთა პერიოდში სვანეთი ძირითადად რუსი და საბჭოთა რესპუბლიკების ტურისტებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ეს იყო საკმაოდ დაბალი ხარისხის, იაფი და აღმოჩენითი ინტერესისგან დაცლილი „საწარმოო“ ტიპის ტურიზმი, რომელსაც ეკონომიკური წვლილი არ შეჰქონდა რეგიონის განვითარებაში, თუმცა კულტურულ-

სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებაში. შემდგომ იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, 1990-იანი წლების ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე პერიოდი, მზარდი კრიმინალი და ტერიტორიების ოკუპაცია.

2007 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა ზემო სვანეთში ტურიზმის ინდუსტრიის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების მიზნით. აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მასშტაბური პროექტები სვანეთში, მათ შორის ქალაქ მესტიის ურბანული რეაბილიტაცია და მისი ისტორიული უბნების აღდგენა-კონსერვაცია, ზუგდიდი-მესტიის დამაკავშირებელი მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია და ახალი გზის გაყვანა, მესტიის აეროპორტის მშენებლობა, მესტიის ურბანული კეთილმოწყობა, ჰაწვალის მთის და თეთნულდის სათხილამურო საბაგრო კომპლექსების მშენებლობა, ჰაწვალის სათხილამურო ზონის მესტიასთან დამაკავშირებელი საბაგრო და უშგული-მესტიის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, მესტიის მუზეუმის სრული რეკონსტრუქცია, 100-მდე ისტორიული კოშკის კონსერვაცია-აღდგენა, და მრავალი სხვა.

ქვემო სვანეთში განხორციელდა ლენტეხი-ცაგერი-წყალტუბოს საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია და მიმდინარეობს ლენტეხი-ცანა-უშგული (ზაგაროს უღელტეხილი) გზის რეკონსტრუქცია. ამ გზის სტრატეგიული მნიშვნელობა შეუფასებელია. გზის ბეტონის საფარის მოწყობის დასრულების შემდეგ ზემო და ქვემო სვანეთი გაერთიანდება ერთ ტურისტულ ღირსშესანიშნაობად.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიზანი

ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს თანმიმდევრულ ქმედებათა ჯაჭვს, რომლის მიზანია სვანეთის პოპულარიზაცია და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად განვითარებას. დოკუმენტის გამოყენებას შეძლებს სვანეთში ტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარეს, მათ შორის კერძო და საჯარო ინსტიტუციები, დონორები და განვითარების სააგენტოები მუნიციპალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. ეს შესაძლებლობას მისცემს რეგიონს მოიზიდოს დამატებითი თანხები მარკეტინგის, ტურისტული პროდუქტის, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად, რაც შექმნის მდგრადი ტურიზმის განვითარების საფუძველს და გაზრდის სვანეთის კონკურენტუნარიანობას.

ნაწილი 1: სიტუაციის კვლევა და ანალიზი

კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს ვითარების შესწავლას და შესაძლებლობების ანალიზს. საკონსულტაციო ჯგუფის მიერ ეს სამუშაოები ჩატარდა ამა წლის თებერვალი-მაისის პერიოდში. ამ პერიოდში განხორციელდა რამდენიმე სამუშაო ვიზიტი მესტიასა

და ლენტეხში, მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, სხვადასხვა რეგიონულ და ეროვნულ ინსტიტუციებთან და რაც მთავარია, უზრუნველყოფილი იყო სვანეთის DMO-სა და მუნიციპალიტეტების აქტიური მონაწილეობა. საბოლოო დოკუმენტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ჩაბარდა დამკვეთს, პროექტ GRETA-ს 2023 წლის 1 ივნისს. დოკუმენტში წარმოდგენილია სიტუაციის დეტალური აღწერა, სირთულეები და მათი გადაჭრის გზები, გამოკვეთილია ზამთრისა და ზაფხულის სეზონის პრიორიტეტული აქტივობები და ახალი მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებების შექმნისთვის საჭირო ინიციატივები.

დოკუმენტში ასახულია ტურიზმის განვითარებისათვის არსებულად გასათვალისწინებელი ფაქტორები: გეოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ურბანული გეგმარება, ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები, საკურორტო განვითარება, პროფესიული კადრების მომზადება, სტატისტიკა და ეკონომიკური პროგნოზირება.

ნაწილი 2: სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (5 წლის პერსპექტივა) წარმოადგენს დეტალურად გააზრებულ „გზამკვლევს“ თუ რა ფასეულობებზე დაყრდნობით და რა ქმედებებით არის შესაძლებელი, სვანეთის, როგორც გამორჩეული ტურისტული მიმზიდველობის მქონე ადგილის, ჩამოყალიბება.

სტრატეგიული ხედვა ეფუძნება ურთიერთგაზიარებულ ღირებულებებსა და საერთაშორისო ტენდენციებს. ხედვის განხორციელებისთვის წარმოდგენილია 5 სტრატეგიული მიზანი, ხოლო ცალკეული მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია 10-მდე კონკრეტული პრიორიტეტული ქმედება. ცალკეული ქმედების განხორციელებისათვის მითითებულია ინიციატორი ორგანიზაცია და მხარდამჭერები, დროითი ჩარჩო და ფინანსური შეფასება. წარმოდგენილია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მონიტორინგისთვის საჭირო ინდიკატორები.

პირველი სტრატეგიული მიზანი ემსახურება მთავარ ფუნდამენტურ წინაპირობას, რომ სვანეთში შეიქმნას კეთილმოწყობილი საცხოვრებელი და რეკრეაციული გარემო. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა კონსოლიდირებული და კოორდინირებული ძალისხმევა, რაც სცილდება მუნიციპალური მმართველობის შესაძლებლობებს. ქმედებები ეხება - ინფრასტრუქტურას, საჯარო სერვისებს, ურბანულ გეგმარებას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ტრანსპორტს, ენერგომომარაგებას, წყალმომარაგებასა და კანალიზაციას და მყარო ნარჩენების მართვას.

სვანეთის მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობა სათავგადასავლო ტურიზმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებია, რაც ეფუძნება ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას და სვანი მასპინძლებისა და მეგზურების ისტორიულად ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მსოფლიო დონის სამთო-სათავგადასავლო შეთავაზებებს, რომლებიც უკავშირდება ფრირაიდს, მთამსვლელობას, ჰელისკის, სკი-ტურინგს და სხვა ექსკლუზიურ სამთო-სათავგადასავლო ტურისტულ პროდუქტს. საერთაშორისო ფესტივალები და სპორტული შეჯიბრები მსგავსი საქმიანობის პოპულარიზაციის საუკეთესო შესაძლებლობაა. სვანეთი ასეთ საერთაშორისო ღონისძიებებს მასპინძლობს ტრადიციულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში, რაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მონაწილეებსა და სტუმრებზე.

კვალიფიციური სერვისის შეთავაზება (იქნება ეს სამთო გამყოლობა თუ სასტუმროს მომსახურება) შეუძლებელია მიღწეული იქნას პროფესიული სწავლების, სერტიფიცირებისა და საერთაშორისო აღიარების გარეშე. შესაბამისად პროფესიული განათლება სტუმართმასპინძლობის სექტორსა და სამთო-სათავგადასავლო პროფესიებში არის ერთადერთი სწორი გზა კეთილდღეობისა და კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველსაყოფად. შესაბამისად მე-3 სტრატეგიული ამოცანა ეძღვნება პროფესიული სწავლების პოპულარიზაციას, სწავლების ფორმალიზებასა და სერტიფიცირებას და შესაბამის საერთაშორისო აღიარებას. ამის ერთ-ერთი კონკრეტული საქმიანობის მიმართულებაა სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიების სწავლება/აკრედიტაცია და ამისთვის სათავგადასავლო ტურიზმის რეგიონალური ფილიალის დაარსება მესტიაში/დასავლეთ საქართველოს მასშტაბით.

სვანეთის საერთაშორისო ცნობადობისათვის აუცილებელია მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული მარკეტინგული და სარეკლამო საქმიანობა, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს, მარკეტინგულ საშუალებებს და სარეკლამო სოც-მედია არხებს. მიზნობრივ ბაზრებზე (მომხმარებელი) წვდომა შესაძლებელია სპეციფიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა სოც-მედიის საშუალებით მოგზაურთა მოგონებები, ისტორიები, შთაბეჭდილებების გაზიარება. ამასთან ერთად ტრადიციული ტურისტული კომპანიებისა და ასოციაციების დაინტერესების ხელშეწყობა სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებისა და ღონისძიებების მოწყობის გზით.

მეხუთე სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს ტურისტული ადგილის მართვა-მენეჯმენტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის და ამ მიზნით კონკრეტული ქმედებების განხორციელებას. ერთიანობაში, შემოთავაზებული 5 სტრატეგიული მიზანი ასე გამოიყურება: 1. ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები; 2. უნიკალური ტურისტული შეთავაზება; 3. კომპეტენტური კადრების მომზადება; 4. მიზნობრივი მარკეტინგი და რეკლამირება; 5. ინტეგრირებული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. ამ მიზნების მიღმა კვლავაც რჩება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად განაპირობებს ტურიზმის სტრატეგიის

რეალისტურობას. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია რომ ტურიზმის განვითარების რეგიონალური სტრატეგია იყოს განხორციელებადი და მისი სამოქმედო გეგმა ეყრდნობოდეს რეალურ შესაძლებლობებს, იყოს განხორციელებადი 5 წლის პერსპექტივით, შესაძლებელი იყოს მისი შედეგების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანით მისი ადაპტირება.



განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტული აქტივობები

სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული ხედვა განსაზღვრავს სტრატეგიული მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ქმედებებს დროის იმ პერიოდში, რომლისთვისაც სტრატეგიული გეგმა არის შემუშავებული (იგულისხმება ხუთწლიანი პერიოდი).

მიზნები და ქმედებები განსაზღვრავენ განვითარებისათვის საჭირო თანმიმდევრულ აქტივობებს, გადაწყვეტილებების ეფექტურ მიღებას და კოორდინირებულ ქმედებებს.

წარმოდგენილი განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ქმედებების თანმიმდევრობა შემუშავებულია განვითარების პრიორიტეტებისა და ერთიანი გააზრებული ხედვის შესაბამისად და ეფუძნება დავალების პირველ ეტაპზე განხორციელებულ კვლევასა და ანალიზს, ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებსა და საჯარო სერვისებთან წვდომას, ტურიზმის დარგობრივი ექსპერტების მოსაზრებებს, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების რჩევებსა და გამოცდილებას, მსოფლიოში მიმდინარე მარკეტინგულ ტენდენციებსა და ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

სტრატეგიის შემდგომი ეტაპი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტულ ქმედებებს, რაც უნდა განხორციელდეს დაინტერესებული მხარეებთან შეთანხმებებით, ერთობლივი გადაწყვეტილებით, სხვადასხვა დონორი პროგრამებისა თუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების მეშვეობით. სტრატეგიული ამოცანები და ქმედებები განისაზღვრება კონკრეტული ადგილის საჭიროებებითა და განვითარების შესაძლებლობებით, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურას, საჯარო სერვისების წვდომას, ტურისტული პროდუქტის ტიპოლოგიას, მარკეტინგულ შესაძლებლობებს, დასაქმებულთა კვალიფიკაციას, ინდუსტრიასა და საჯარო სექტორის თანამშრომლობას, თავად ტურისტული ადგილის ბრენდირებასა და პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზარზე.

სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს შემუშავდეს ქმედებათა გააზრებული, რეალისტური და ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვი, რათა სვანეთის რეგიონი გახდეს ცნობადი და კონკურენტუნარიანი მსოფლიოში, როგორც ზამთრისა და ზაფხულის დაუვიწყარი სათავგადასავლო მოგზაურობის მასპინძელი.

სვანეთის რეგიონში შეიქმნას წარმატებული და განვითარებაზე ორიენტირებული ტურისტული ინდუსტრია, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოში სვანეთის, როგორც დაუვიწყარი ზამთრისა და ზაფხულის სათავგადასავლო მოგზაურობის მასპინძლის ცნობადობასა და პოზიციონირებას, იზიარებს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე ზრუნვის აუცილებლობას, ქმნის რეგიონის განვითარებისთვის მყარ ეკონომიკურ საფუძველს.

ხედვა

ქვემოთ მოყვანილ შემაჯამებელ ცხრილში წარმოდგენილია 5 სტრატეგიული მიზანი და 42 სპეციფიკური ქმედება, რომელთა დეტალური აღწერა, მიზნობრიობა და მონიტორინგის ინდიკატორები წარმოდგენილია დოკუმენტის მომდევნო ნაწილში ცხრილების სახით:

სტრატეგიის ამოცანები	ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისების გაუმჯობესება	მსოფლიო დონის კონკურენტუნარიანი ტურისტული შეთავაზება	კვალიფიციური კადრების მომზადება ტრენინგებისა და ფორმალური განათლების გზით	სვანეთის ცნობადობა, მარკეტინგი და რეკლამირება მსოფლიო ბაზარზე	ეფექტური ინტეგრირებული მართვა-მენეჯმენტის დანერგვა საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობით
აქტივობები	ურბანული და მიწათსარგებლობითი გონიერი დაგეგმარება	უსაზღვრო სათხილამურო შესაძლებლობები	სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფილიალის შექმნა მესტიაში	ეფექტური მარკეტინგული ყოველწლიური გეგმის შემუშავება	სვანეთის DMO განვითარება და ინტეგრირებული მმართველობა
	რეგულირებადი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	არსებულის გაფართოება და ახალი სათხილამურო არეალების შექმნა	მომავალი (ახალგაზრდა) გიდების საზაფხულო სკოლები და ტურიზმის ლიდერების სასწავლო პროგრამის დანერგვა	სვანეთის ტურისტული ვებ-გვერდისა და სოც-მედია გვერდის მომზადება და მისი უზრუნველყოფა	ვიზიტორთა სტატისტიკის შეგროვება-კონტროლი და მასზე დაყრდნობით GIS ანალიტიკური პორტალის სერვისების შეთავაზება
	მდგრადი და ხარისხიანი ენერგომომარაგების უზრუნველყოფა, ადდგენადი ენერჯის წყაროების გამოყენება	საერთაშორისო ტურისტული ფესტივალებისა და შეჯიბრების მასპინძლობა	სათავგადასავლო ტურიზმის გიდების აკრედიტაცია და ტრენინგების მომზადება	სვანეთის რეკლამირება და სოც-მედიის გამოყენებით მოგზაური საზოგადოების ყურადღების მიპყრობა	DMO სვანეთის საქმიანობის ხელშეწყობა და მართვის ეფექტურობის ზრდა

გზები, ფრენები და რეგიონალური ტრანსპორტი	„მემკვიდრეობის ბილიკები“ - მოგზაურობა ისტორიის მკვლევარების კვალდაკვალ	სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფილიალის ფუნქციონირება და ფინანსური უზრუნველყოფა	სვანეთის სამოგზაურო რუკა-პორტალი, საინფორმაციო კვანძის შექმნა	ბრენდის პოზიციონირება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე
საჯარო ტრანსპორტი და მობილობის უზრუნველყოფა	ისტორიული სოფლებისა და უბნების გაცოცხლება „მოგზაურობა წარსულში“	პროფესიული სამთო გამყოლების ქსელის შექმნა, გიდების ოფისები, და გიდების ონლაინ პორტალი	საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიები - მოგზაურთა მოგონებების კვალდაკვალ	ტურისტული ადგილის მართვის ინტეგრალური მიდგომა - საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობით
ეროვნული და საერთაშორისო ტრანსპორტი და სახმელეთო და ავია კავშირები	მოგზაურობა ისტორიული ბილიკებით „ხეობიდან-ხეობაში“	მოგზაურობის უსაფრთხოების ნორმები და რისკების მინიმიზაცია, სამთო რელიეფის გათვალისწინებით	ისტორიები და თანამედროვე მოგზაურთა ჩანაწერების გამოყენება რეკლამა-ცნობადობისთვის	
წყალმომარაგება და წყალარინება/კანალიზაციის სისტემების მოწყობა	ახალი ტურისტული ბილიკების-დამის სათევი ადგილების მოწყობა რეგიონებს შორის	სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის ჩვევები, სწავლება და სტანდარტების დანერგვა	საერთაშორისო და ადგილობრივ ტუროპერატორებთან და ოპერატორთა ასოციაციებთან თანამშრომლობა	
მყარი ნარჩენების მართვა	კონცეფცია „გიდი-ბილიკი-ქოხი-მამველი“ განვითარება	ბილიკების მართვა-მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა	ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა	
	გაუმჯობესებული სტანდარტები სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაში	მთის მასპინძელი - კონცეფციის შემუშავება და ადრეული სწავლების პრაქტიკა	მიზნობრივი სარეკლამო კამპანიების წარმართვა	
		კულტურული მემკვიდრეობის	ბრენდის სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა და	

		ინსტიტუციონალიზაცია და მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება	გამოყენება	
--	--	--	------------	--

1.0 ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების გაუმჯობესებით უკეთესი საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემოს შექმნა

სვანეთის ტურისტული მიმზიდველობისათვის აუცილებელია უკეთესი საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემოს შექმნა. ეს გულისხმობს ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილი რესურსების ეფექტურ გამოყენებას ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად და მათი მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად. ეს ასევე გულისხმობს კულტურული ლანდშაფტის პატივისცემით გამოყენებას მის მფლობელებთან თანამშრომლობით, რეგიონის მდიდარი მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ინოვაციური მიდგომები გადაწყვეტილებების მიღებისას და ახალი საზოგადოებრივი სერვისების შეთავაზება აუცილებელია, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე ტურისტებისთვის. მტკიცებულებებზე დამყარებული განვითარების სტრატეგიების შემუშავება (მათ შორის კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რეგიონის გეგმაზომიერი განვითარებისათვის. აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის ადგილობრივ სოციალურ-კულტურულ გარემოში ინტეგრირება, ტრადიციული არქიტექტურისა და მიწათსარგებლობის პატივისცემა, სერვისებისა და დასვენებისთვის სპეციფიკური ინფრასტრუქტურის განახლება ისე, რომ შენარჩუნებული იყოს რეგიონის ავთენტურობა. სვანეთის განამსხვავებელი თავისებურებების გათვალისწინებით და ინტეგრირებული და გეგმაზომიერი გეგმების განხორციელებით შესაძლებელია ტურიზმის განვითარება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს უკეთესი ეკონომიკური, სოციალური და რეკრეაციული გარემო ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის.

1.1 ურბანული გეგმარება, მიწათსარგებლობა და ისტორიული იერსახის შენარჩუნება

სვანეთის უნიკალური ურბანული არქიტექტურის შენარჩუნება და პოპულარიზაცია აუცილებელია ვიზიტორების მოსაზიდად. ურბანული გარემოს დაცვა, შენარჩუნება და განვითარება უნდა ექვემდებარებოდეს ურბანული დაგეგმარებისა და მიწათსარგებლობის გეგმარებით დოკუმენტებს და აღსრულებისთვის სავალდებულო რეგულაციებს. ასეთი დაგეგმვის დოკუმენტების მიღება და დამტკიცება მუნიციპალიტეტების პრეროგატივას წარმოადგენს და ამ პროცესში მნიშვნელოვანია

ექსპერტთა მულტიდისციპლინური ჯგუფის მონაწილეობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება.

დღეის მდგომარეობით, მულახის თემის მიწათმოწყობის გეგმა დამტკიცებული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, უშგულის გენერალური განვითარების გეგმა მომზადებულია და გაგზავნილი შესათანხმებლად იუნესკოში, მესტიისთვის მუნიციპალიტეტის სივრცული მოწყობის საყრდენი გეგმა მომზადებულია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების დამტკიცების პროცესი საჭიროებს შეთანხმებებს და შესაბამისად დროს, მსგავსი დოკუმენტაციის არსებობა წინადადებული ნაბიჯია, იმისთვის, რომ შენარჩუნდეს არქიტექტურული, ურბანული და მიწათსარგებლობის ისტორიული პრაქტიკა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტს ჯერჯერობით მსგავსი დოკუმენტები შემუშავებული არ აქვს. ცალკეული პრიორიტეტული მიმართულებებით გეგმარებითი დოკუმენტებისათვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევითი სამუშაოები მიმდინარე პროცესშია (მაგ. კურორტ ჭუთხაროსა და მუაშის განვითარების შესაძლებლობების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები). ამ და მსგავსი დოკუმენტაციის ინიცირება და შესრულება აუცილებელი წინაპირობაა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ურბანულად მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის.

მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების კონკრეტული ქმედებები და ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- მულახისა და უშგულის თემების ურბანული და მიწათსარგებლობის დაგეგმვის დასრულება და დამტკიცება და შესაბამისი რეგულაციების დანერგვა.
- ურბანული და მიწათსარგებლობის დაგეგმვის მომზადება ლენტეხის მუნიციპალიტეტის სრულ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.
- ურბანული დაგეგმარების დოკუმენტების ფარგლებში არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების საყრდენი გეგმის შექმნა, ობიექტების სრული ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია და ადაპტაციისა და რეკონსტრუქციის მიდგომების განსაზღვრა-შეთანხმება გეგმებთან.
- ღონისძიებების გატარება იმ არაორგანიზებული განვითარების თავიდან ასაცილებლად, რომელიც რეგიონის ისტორიულ და კულტურულ ქსოვილს არღვევს, ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზების მეშვეობით.
- რეკრიაციული სივრცეების შენარჩუნება, გაფართოება და არქიტექტურულ და ურბანულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- საგზაო ქსელის გაუმჯობესება და საკურორტო ზონების ირგვლივ „უმანქანო“ ზონების დანერგვა, მდგრადი საჯარო სატრანსპორტო ქსელის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტულად დატვირთულ ზონებში, მჭიდრო დასახლებებში, ტრანსპორტით გადატვირთულ ადგილებში (მაგალითად მესტია-უშგული) მიწისზედა და მიწისქვეშა ავტო საპარკინგე სივრცეების მოწყობა.

ეს ინიციატივები მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ჰარმონიული გარემოს შექმნას, რომელიც რეგიონის უნიკალური იდენტობის შენარჩუნებასთან ერთად დააბალანსებს ტურიზმის საჭიროებებს, მოიზიდავს ინვესტიციებს და შექმნის დასაქმების შესაძლებლობებს.

1.2 ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმარებითი მოთხოვნებისა და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით

სვანეთში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ინვესტიციების ჩადება კონკრეტულ ინფრასტრუქტურაში -საბაგიროს, ენერგომომარაგების, ტრანსპორტის, სასტუმროების, რესტორნების, გასართობ ზონებსა და საზოგადოებრივ ადგილებში. მუნიციპალურ ხელისუფლებას, ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიას და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროებენ ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია არსებობდეს კოორდინაცია ინვესტორებს, უძრავი ქონების დეველოპერებს, ეროვნულ სააგენტოებს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებს შორის. დანიშნულების ადგილის მართვაზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ უნდა შეითავსოს საკოორდინაციო ფუნქციები და უზრუნველყოს მდგრადი სამთო ტურიზმის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილი იქნას დაბა მესტიაში ცენტრალური მოედნის „სეტი“ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების დასრულება, დასასვენებელი რეკრიაციული სივრცეების შექმნა, ისტორიულ უბნებთან წვდომა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება საბაგიროებთან წვდომის გაუმჯობესებისათვის და სხვა.


ლენტეხის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი პრიორიტეტებია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, როგორც ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია, ახალი სათხილამურო ზონის მიზანშეწონილობის შეფასება და სოფელ მახაშის, როგორც ისტორიული დასახლების აღდგენა-განახლება.

1.3 მდგრადი და ხარისხიანი ენერგომომარაგება

მდგრადი ენერგომომარაგების უზრუნველყოფა სვანეთისთვის კრიტიკულ საკითხად იქცა. შეფასების ანგარიშში (ნაწილი 1) ძირეულ მიზეზად საჯარო და კერძო ინტერესებს შორის კონფლიქტია მიითებული. მდინარე ენგურის წყალშემკრებ აუზში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით უფასოდ სარგებლობს, რაც სახელმწიფო სუბსიდიის სახით მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სოციალური სარგებელია. რაც შეეხება საწარმოო ობიექტებს, როგორცაა სასტუმროები, საბაგროები და სხვა - ელექტროენერგიის საფასურს კომერციული ტარიფით იხდიან. მცირე საოჯახო ბიზნესების (რომლებიც არ არიან სასტუმროს სახით რეგისტრირებული) უმეტესი ნაწილი ელექტროენერგიის მოხმარების საფასურს არ იხდის.

ენერგომომარაგება სვანეთში მოსახლეობისა და ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით მერყეობს და ტურისტული სეზონის პიკის პერიოდებში მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, ენერგომომარაგებისა და გადახდების ტარიფიზაცია აუცილებელია სტაბილიზაციისთვის ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად. შესაძლოა გამოყენებული იქნას საქართველოში მოქმედი „მთის კანონში“ გათვალისწინებული შეღავათების პრაქტიკა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ან ოჯახზე (აბონენტი) ენერგომომარაგება სუბსიდირებულია ფიქსირებული მაქსიმალური ლიმიტით, ხოლო ამ ლიმიტს ზევით მოხმარებული მომსახურების გადახდა ხორციელდება მოსახლეობისთვის დადგენილი ტარიფით.

რეკომენდებული აქტივობები რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. პირველ რიგში, აუცილებელია მომხმარებლებისთვის არსებული ენერგომომარაგების ქსელების ტექნიკური გამართვა-გაუმჯობესება. განახლებადი/აღდგენადი ენერგიის წყაროების გამოყენება და მათ მიერ გამომუშავებული წილის გაზრდა (საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა-



ექსპლუატაცია) უპირველეს ყოვლისა მუნიციპალური და საზოგადო დანიშნულების შენობების ენერგოუზრუნველყოფისათვის. სუბსიდირების სისტემის დანერგვა და კომერციული და არაკომერციული მომხმარებლებისთვის დიფერენცირებული ტარიფების შეთანხმება ენერგომომწოდებლებთან. ამჟამად რეგიონში მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 82,0 მეგავატია. საყურადღებოა ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხი, რომელიც წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის ჩატარებას საჭიროებს.

1.4 გზები და რეგიონალური კავშირები

სვანეთი საქართველოს სხვა რეგიონებთან ძირითადად ზუგდიდი-მესტიის სახელმწიფო საავტომობილო გზით არის დაკავშირებული, რომლის სიგრძე 136 კმ-ია. ეს გზა რიგი გამოწვევების წინაშე გვაყენებს და ძვირადღირებულ მოვლას საჭიროებს. გზის ხარისხი ნორმალურია, თუმცა მისი მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვან სახსრებს მოითხოვს და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. გზის ხარისხი გარკვეულ მონაკვეთებში ნორმალურია, თუმცა დიზი-ეცერის მონაკვეთი კრიტიკას ვერ უძლებს. ტექნიკური მომსახურების ღირებულება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (MoRDI) და სახელმწიფო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა.

შიდა გზები, რომლებიც მუნიციპალურ ქალაქს პატარა სოფლებთან და საზოგადოებრივ ცენტრებთან აკავშირებს, მუნიციპალური ბიუჯეტით ფინანსდება. ზოგიერთი პრიორიტეტული პროექტი ასევე მიზნობრივად ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო განვითარების სააგენტოებიდან (დონორები) და ხორციელდება სამინისტროს ან დაქვემდებარებული მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ. შეზღუდული თანხების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტმა პრიორიტეტად თავისი საინვესტიციო საჭიროებები უნდა განსაზღვროს, როგორც ტურიზმის განვითარების პერსპექტივების, ასევე კონკრეტული თემების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინებით.

პრიორიტეტიზაცია მოითხოვს კოორდინირებულ ძალისხმევას, რათა დააკმაყოფილოს ტურიზმის განვითარების მოთხოვნები (მაგალითად, ხელი შეუწყოს საბაგროს ობიექტებში სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტურ უკუგებას), გააუმჯობესოს პოპულარულ ხეობებსა და სოფლებში მიმავალი გზები (როგორცაა ბეჩო, ადიში, ნაკრა) და კერძო ინვესტიციების წახალისებისათვის სტუმართმოყვარეობის ბიზნესში (დიდი და მცირე სასტუმროები). მნიშვნელოვანია შორეულ ხეობებში სოციალურ-ეკონომიკური აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნა პოპულარული ბილიკების გასწვრივ ინვესტიციების მოზიდვით, როგორცაა

დამისათევი ტურისტული ქოხები და ტურისტული ბილიკების კეთილმოწყობა და სამაშველო სამსახურის საქმიანობის უზრუნველყოფა.

ეროვნულ დონეზე ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის მონაკვეთის რეაბილიტაცია სახელმწიფო კატეგორიის გზებისთვის პრიორიტეტულია. ამჟამად ცენტრალური მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთების რეაბილიტაციისთვის ინვესტიციები ხორციელდება ახალი ხიდების (მაგ. ოხარკალა) მშენებლობისა და არსებულის (ენგურის, მაგანის და შკაშგელიას) რეაბილიტაციისთვის, ასევე მდინარის ნაპირების დასაცავად.

მესტიის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური გზების საერთო სიგრძე 832 კმ-ია, საიდანაც 390 კმ კარგ მდგომარეობაშია, 440 კმ რეაბილიტაციას საჭიროებს. ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ცენტრალური გზიდან მოშორებით არსებული გზების კეთილმოწყობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზამთრის სეზონზე უსაფრთხო და კეთილმოწყობილი მუნიციპალური სერვისების უზრუნველყოფას შორეულ დასახლებებისათვის.

მესტია-ლენტეხის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა: ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი (ზაგაროს უღელტეხილი) გზის რეკონსტრუქცია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს და რომლის დასრულებაც იგეგმება 2023 წელს. ეს ისტორიული გზა მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტულ ნაკადებს, რომლებიც ორივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის და მნიშვნელოვნად შეცვლის ვიზიტორთა ნაკადების დინამიკას.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ეროვნული მნიშვნელობის გზები 102 კმ-ს მოიცავს, ლენტეხიდან ცანამდე 58 კმ მოასფალტებულია (მიმდინარეობს გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები). რეაბილიტაცია 44 კმ-ზეა საჭირო, 28 კმ-იანი გზა კი ცენტრალურ გზას სოფლებთან აკავშირებს. კონკრეტული ლოკაციების პრიორიტეტულობა აუცილებელია მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე ტერიტორიების გამოსავლენად და მათ ირგვლივ აქტივობების კონცენტრირებისთვის კერძო სექტორის ინტერესებისა და ინვესტიციების მოსაზიდად. რეკომენდებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები ზესხოსა და აილამაში ყოფილი ალპური ბანაკის აღდგენის სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად, სხვა შესაძლებლობებთან ერთად. ამ სამუშაოს კურორტების სააგენტოს დაკვეთით ანხორციელებს საკონსულტაციო კომპანია ერნს ენდ იანგი E&Y და ფრანგული კომპანია კომპანი დეზ ალპს CDA.

მსგავსი მამტაბის პროექტების დაგეგმვისას აუცილებელია კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ბუნებრივი რისკების შეფასება და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების გათვალისწინება.

1.5 საზოგადოებრივი ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი სატრანსპორტო სერვისები ამჟამად მიუწვდომელია, თუმცა ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე ამკარაა მათი საჭიროება. მგზავრთა გადაზიდვებს ახორციელებენ კერძო გადაზიდვის კომპანიები ან ინდივიდუალური მეწარმეები. ორივე მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის სერვისები სტუმრებს მაღალი ფასებით ემსახურება. ევროპული ტურისტული მიმართულებების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი და კერძო თანამშრომლობა გადამწყვეტია ტურისტული სერვისების გაფართოებისა და ახალი ტერიტორიების (ხეობების, საფლების) ტურისტულ ბიზნესში ჩასართავად.

მაგალითი: ტიროლი/ავსტრია შტუბაის ხეობის სათხილამურო/რეკრეაციული კურორტის პოპულარობა უკავშირდება სათხილამურო საბაგირო კომპლექსს, რომელიც მდებარეობს ხეობის ბოლოს, თუმცა მისი მომხმარებელი განთავსებულია ხეობის გასწვრივ მდებარე სოფლებსა და სასტუმროებში, რომლებიც დაშორებული არიან საბაგარი კომპლექსიდან 15-20 კმ-ის მანძილზე და სარგებლობენ კარგად ორგანიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებულია საბაგირო კომპლექსის საქმიანობასთან. მსგავსი მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს თეთნულდის საბაგიროსა და მესტიას შორის ორგანიზებული სატრანსპორტო სერვისის უზრუნველსაყოფად, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დამსვენებელთა/საბაგირო გზის მომხმარებელთა რაოდენობას.

ლენტეხის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ასეთივე მიდგომის დანერგვა, რადგან სტუმრების განთავსების განფენილობა ხეობის გასწვრივ დიდია (10-15 კმ) და საჭიროებს სატრანსპორტო სერვისს. ეს წახალისებს ვიზიტორებს, რომ დარჩნენ რამოდენიმე დღით და ჰქონდეთ შესაძლებლობა იმოგზაურონ მდინარე ცხენისწყლის ან ლახამულას გასწვრივ მდებარე პატარა სოფლებში.

მესტიაში წრიული მარშრუტის მოწყობა, როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისთვის აუცილებელია. საჭიროა საშუალო ზომის ავტოსადგურის აშენება. დასაგეგმია რეგულარულ მარშრუტების განახორციელება და ტურისტულად პოპულარული ლოკაციების დაკავშირება (აეროპორტი-ცენტრი 'სეტი', მუზეუმი, საბაგირო და სხვა ახლომდებარე სოფლები).

რეგიონულ დონეზე მთავარი ტურისტული სეზონის განმავლობაში შეიძლება მთავარი წრიული სატრანსპორტო მარშრუტი ფუნქციონირებდეს, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთს მესტიის, უშგულისა და ლენტეხის გავლით დააკავშირებს.

1.6 რეგიონული და საერთაშორისო კავშირები

საჰაერო კავშირი:

საშუალო და მცირე ზომის (24 - 30 მგზავრი) თვითმფრინავებით რეგულარული, ჩარტერული თუ კერძო თვითმფრინავებით (4-6 მგზავრი) ფრენების განხორციელება უდავოდ პერსპექტიული მიმართულებაა. ფრენები, რომლებიც აკავშირებენ მესტიას ქვეყნის სხვა აეროპორტებთან (ქუთაისი, ბათუმი, ნატახტარი, თბილისი) განსაკუთრებით მოთხოვნადია და მათი რეგულარობის გაზრდა და შემდგომში ლენტეხი/ჩიხარემის აეროპორტის დამატება (უნდა ჩატარდეს ტექნ-ეკონომიკური შესაბამისობის კვლევა) პერსპექტიული მიმართულებაა. ეს აეროპორტი ხელს შეუწყობს შიდა ფრენებს, რომლებიც ქუთაისს, მესტიას, ჩიხარემსა და ამბროლაურს დააკავშირებს, შექმნის ყოვლისმომცველ ქსელს და საშუალებას მისცემს რეგიონის სრულ ინტეგრაციას ეროვნულ ტურისტულ საქმიანობაში.

ამის დადასტურებაა მესტიის აეროპორტის წარმატებული მუშაობა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ახორციელებს რეგულარულ ფრენებს (სუბსიდირებულ ფრენებს) და რომელზეც მოთხოვნა გამუდმებით სჭარბობს შეთავაზებას. ზაფხულის ტურისტული სეზონის განმავლობაში ბილეთები ტურისტული სეზონის დაწყებამდე მთლიანად გაყიდულია.

რეკომენდებულია ამ შესაძლებლობის გამოყენება და მაღალი ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად ფრენების სიხშირის გაზრდა, თუნდაც საერთაშორისო ვიზიტორებისთვის ბილეთის უფრო მაღალ ფასად შეთავაზებით (სუბსიდირების გარეშე).

შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე საერთაშორისო მაგალითი, როგორცაა საფრანგეთის კურორტი შამონი, რომელსაც ემსახურება ადგილობრივი აეროპორტი, რომელიც იღებს მცირე ზომის თვითმფრინავებს კერძო და ჩარტერულ რეისებს და საჭიროების შემთხვევაში ემსახურება სასწრაფო სამედიცინო და სამთო-სამაშველო მომსახურებისთვის საჭირო ფრენებს.

საგზაო კავშირი:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემო სვანეთის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი მთავარი გზა არის ზუგდიდი-მესტიის სახელმწიფო გზა მდინარე ენგურის კანიონის გასწვრივ (136 კმ). ქვემო სვანეთთან მისასვლელი კიდევ ერთი გზაა მდინარე ცხენისწყლის გასწვრივ, რომელიც მას ცაგერთან და რაჭაში წყალტუბო/ქუთაისთან ან ამბროლაურთან აკავშირებს. ეს ორი გზა ერთმანეთთან დაკავშირებულია მთიანი მონაკვეთით, რომელიც უშგულსა და ცანას (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) აკავშირებს

ზაგაროს უღელტეხილის გავლით (ამჟამად მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები). სამუშაოების დასრულების შემდეგ, ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი წრიული გზა (მესტია-უშგული-ცანა-ლენტეხი 115 კმ) ყველაზე პოპულარული ტურისტული მარშრუტი გახდება. საავტომობილო გზა შეასრულებს „ღერძული მარშრუტის“ ფუნქციას, რომლის ირგვლივაც განვითარდება სხვადასხვა სათავგადასავლო ტურიზმის მარშრუტი (საფეხმავლო, საცხენოსნო, ველო, და სხვა).

პრიორიტეტები:

- ზუგდიდიდან ჯვარის, მესტიის, უშგულის, ზაგაროს, ლასდილის ეროვნული მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია.
- ლასდილი-ცანას გზის მონაკვეთის რეკონსტრუქციის დასრულება.
- მესტიიდან ზუგდიდის მიმართულებით რეგულარული ავტობუსის ხაზების მუშაობა.
- ლენტეხიდან ქუთაისამდე რეგულარული ავტობუსების ხაზების მუშაობა.
- მესტიასთან ფრენის სიხშირის გაზრდა.
- ჩიხარეში/ლენტეხში ახალი აეროპორტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობა/საჭიროების ტექნ-ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევა.

1.7 წყალმომარაგება და წყალარინების სისტემების მოწყობა

შეფასების მიხედვით, გამართული და კარგად მოვლილი წყალმომარაგების სისტემა მხოლოდ ქალაქ მესტიას აქვს (თუმცა მესტიაში არ არსებობს გამწმენდი ნაგებობები და გამომდინარე აქედან ფეკალური მასები პირდაპირ ჩაედინება მდ. მესტიაჭალასა და მულხურაში). სხვა სოფლებში წყალმომარაგება ხორციელდება წყაროების წყლის სისტემებით, ხოლო განაწილება გრავიტაციულად ხდება, შესაბამისად წყლის ფილტრაცია-ქლორირება არ ხდება. ეს საკითხი სასწრაფო ყურადღებას საჭიროებს განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც მაღალია ტურისტთა განთავსების ადგილთა ან მომსახურების კონცენტრაცია, როგორცაა სოფელი უშგული, საბაგირო სადგურების ტერიტორია, და სხვა. მსგავსი ადგილების წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების შესაქმნელად აუცილებელია მიზნობრივი ინვესტიციების გამოყოფა და ამ სისტემების მართვის სახელმწიფოში დანერგილი პრაქტიკის გამოყენება. ამ ინვესტიციებს/სერვისებს ეროვნულ დონეზე ახორციელებს სახელმწიფო კომპანია UWSUC-მ, ხოლო მუნიციპალურ დონეზე მუნიციპალური სერვისები.

შესაძლებელია მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) დახმარებით საერთაშორისო დონორი პროგრამების მოზიდვა და სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება (ბაკურიანი, გუდაური, სხვა). ეს საკითხები თანაბრად მნიშვნელოვანია მესტიისა და ლენტეხის სოფლებისა და საკურორტო ზონებისთვის.

მესტიაში მცხოვრები ოჯახებისა და კერძო მომხმარებლების დაახლოებით 20%-ს არ აქვს 24-საათიანი წყალმომარაგება არასაკმარისი ნაკადის გამო და წყლის ხარისხზე ამინდის პირობები და ნიადაგის დაბინძურება მნიშვნელოვნად მოქმედებს. ამიტომ მესტიაში წყალმომარაგების სისტემის განახლება უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, UWSCG-მ 2019 წელს საერთაშორისო კონტრაქტორთან მესტიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე ხელშეკრულება დადო. თუმცა, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელშეკრულების შეცვლაზე განხორციელების დროს წარმოქმნილი ობიექტური გარემოებების გამო.

სვანეთის თემების უმრავლესობა ეყრდნობა კუსტარულ წყალმომარაგების სისტემებს წყაროს წყალმიმღებით, გარდა უშგულისა, სადაც კაპიტალური წყალმომარაგების სისტემა ნაწილობრივ დანერგილია და დასრულებას საჭიროებს. პროფესიონალი ინჟინრების დახმარებით მუნიციპალიტეტმა სასმელი წყლის ხარისხისა და მისი სტაბილურობის გასაუმჯობესებლად ცალკეულ სოფლებში წყალმომარაგების სისტემების პროექტირება და მშენებლობა დაიწყო.

მესტიის გარდა, სექტორული ტიპის ჩამდინარე წყლების გამწმენდი განყოფილება მხოლოდ სოფელ ფარშია, სადაც 40-მდე კომლია. ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ მნიშვნელოვანი ტურისტული პოტენციალის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულებში, როგორცაა უშგული, კალა, ადიში (მშენებარე), მულახი, ივარი, წვირმი, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეცერი, ლახამულა, ნაკრა, ჭუბერი ხაიში და მათში შემავალ სოფლებში ჩამდინარე წყლების დაუყოვნებლივ გაწმენდას საჭიროებს.

UWSCG-მ ქალაქ ცაგერში, სოფელ ქვემო ცაგერსა და ლენტეხში წყალმომარაგების სისტემის ოპტიმიზაციის პროექტსა და მშენებლობაზე სახელმწიფო შესყიდვა დააინიცირა. ეს მოიცავს დამატებითი წყალმიმღების და მაგისტრალური მილსადენების მშენებლობას 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად, რომელიც ამჟამად არ არის სანდო და სეზონურ ცვლილებებს ექვემდებარება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი ამ სექტორში ინვესტიციებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ტენდერების მეშვეობით ახორციელებს, მათ შორის არის: 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და მშენებლობა და ჩამდინარე წყლების

გაწმენდის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. მესტიის მსგავსად, დაბა ლენტეხს გააჩნია ჩამდინარე წყლების ქსელი გამწმენდი ნაგებობების გარეშე (სეპტიკი), რომელიც პირდაპირ მდინარეში ჩაედინება. ამ სისტემის განახლება მთავარი პრიორიტეტს წარმოადგენს.

ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ მდებარე ადმინისტრაციული ერთეულები და მასში შემავალი დიდი სოფლები კარგი ტურისტული პოტენციალით ჩამდინარე წყლების მართვის დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს. ეს სოფლებია სასაში, ლუჯი, ლეუშერი, თევალი, მამი, ჭველიერი, დურაში, ბაბილი, ხოფური, ქვერეში, რცხმელური, ხელედი, ტვიბი, ჯახუნდერი, ლემზაგორი, ჩიხარეში, მელე, შკედი.

1.8 მყარი ნარჩენების მართვა

დღეს მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს მყარი ნარჩენების სათანადო ნაგავსაყრელები არ გააჩნიათ. სახელმწიფო კომპანია „მყარი ნარჩენების მართვა“ თანამშრომლობს მუნიციპალურ სამსახურებთან მყარი ნარჩენების შეგროვებისა და შორეულ ნაგავსაყრელებზე ტრანსპორტირების მიზნით. ეს მიდგომა რეგიონებისთვის მის ვარგისიანობასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს დიდი მანძილებისა და რთული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

სექტორის ეროვნული რეგიონული სტრატეგიის საფუძველზე ტერიტორიაზე მყარი ნარჩენების მართვა რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მოწყობის გარეშე ხორციელდება. ამის ნაცვლად, გამოიყენება ნარჩენების გადატანის სადგური, რომელსაც „საქართველოს ნარჩენების მართვის კომპანია“ მართავს, ხოლო ნარჩენების გატანის ღონისძიებები მუნიციპალური მთავრობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მთავარი პრიორიტეტული ამოცანები რეგიონული და ადგილობრივი გზების ქსელის განვითარებით, მუნიციპალური სერვისებისთვის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფით და პერსონალის მომზადებით დასახლებებიდან ნარჩენების გატანის ეფექტურობის გაუმჯობესებას მოიცავს.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით მოთხოვნილი რეგიონისთვის სპეციფიკური ძირითადი საქმიანობა შემდეგია:

- ნარჩენების შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და ფუნქციონირება ცალკე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისთვის, საგანმანათლებლო ინიციატივებთან ერთად, რათა ხელი შეუწყოს მოსახლეობის გადასვლას ნარჩენების სათანადო სეპარაციაზე.

- გაფართოებული მწარმოებლის პასუხისმგებლობის (EPR) დანერგვა, რომელიც მწარმოებლებს ავალდებულებს პროდუქციის ეკოლოგიური დიზაინის შექმნას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ნარჩენების წარმოქმნას წარმოებისა და გამოყენების დროს.

- ნაგავსაყრელებზე გადაყრილი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების დაგეგმილი შემცირება.

ამ მიზნებიდან გამომდინარე, ნარჩენების მართვის კომპანია გეგმავს მეორე ნარჩენების გადამტანი სადგურის მოწყობას მესტიის მუნიციპალიტეტში სოფელ ლახანთან ახლოს. გარდა ამისა, „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადასატანი სადგურის აშენება იგეგმება, რომელიც როგორც ლენტეხის, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტებს მოემსახურება. კალასა და იფარს შორის მესამე გადასატანი სადგურის მშენებლობა მნიშვნელოვნად შეამცირებს სატრანსპორტო მანძილებს სოფლებს შორის, რითაც გაზრდის მუნიციპალური მომსახურების კომპანიის ეფექტურობას და შეამცირებს ექსპლუატაციისა და ტექნიკურ ხარჯებს.

2.0 მსოფლიო დონის უნიკალური ტურისტული შეთავაზების და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა

მეორე სტრატეგიული მიზანი გულისხმობს სვანეთის პოზიციონირებას, როგორც საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის „დანიშნულების“ ადგილს და მოიცავს ისეთ ინიციატივებს, როგორცაა სათხილამურო შესაძლებლობების პოპულარიზაცია, ახალი სათხილამურო ტრასების განვითარება, საერთაშორისო ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მასპინძლობა, ისტორიული ურბანული გარემოს და მემკვიდრეობის ძეგლების აღორძინება, ისტორიული თემებისა და ხეობების დაკავშირება, ბილიკების ქსელის განვითარება და სტუმართმასპინძლობის სტანდარტებისა და გართობის საშუალებების გაუმჯობესება.

სვანეთის სათხილამურო კურორტები, ჰაწვალა და თეთნულდი, არაჩვეულებრივ შესაძლებლობას გვთავაზობს და იზიდავს თხილამურებისა და სნოუბორდის მოყვარულებს მთელი მსოფლიოდან. ახალი სათხილამურო ტრასების განვითარება და სათხილამურო ტურისტული ქსელის ჩამოყალიბება კიდევ უფრო გააძლიერებს სათავგადასავლო შეთავაზებას რეგიონში. საერთაშორისო ღონისძიებების, ფესტივალებისა და სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობა ზრდის სვანეთის პოპულარობას და ხელს უწყობს რეგიონის სათავგადასავლო ტურიზმის ინდუსტრიის ქსელში ჩართვას. ინიციატივები, როგორცაა გიდების მართონი და გიდების კონკურსი, ზრდის რეგიონის მიმზიდველობას და იზიდავს პროფესიონალებს სხვადასხვა სათავგადასავლო დისციპლინიდან. „მემკვიდრეობის ბილიკების“ შექმნა, ისტორიული ურბანული გარემოსა და მემკვიდრეობის ძეგლების

აღორძინება, საცხენოსნო, სამთო ველოსიპედისა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება ვიზიტორებს აცნობს სვანეთის მდიდარ ისტორიას, კულტურულ ტრადიციებს და ბუნებრივ სილამაზეს. ეს გამოცდილება უზრუნველყოფს მოგზაურობის დიდ შესაძლებლობებს და ხაზს უსვამს რეგიონის უნიკალურ იდენტობას. სტუმართმაპინძლობის სტანდარტების, განთავსების ობიექტების, საკვების ხარისხისა და გართობის საშუალებების გაუმჯობესება უზრუნველყოფს ვიზიტორებისთვის დასამახსოვრებელ და სასიამოვნო დასვენებას. "მასპინძლებისა და სტუმრების" ურთიერთობის ხაზგასმით, სვანეთი მიზნად ისახავს ავთენტური გამოცდილების მიწოდებას, ტრადიციული სპექტაკლების, კულტურული ღონისძიებებისა და გარე აქტივობების თანხმობით.

საერთო ჯამში, ეს ინიციატივები ერთობლივად უწყობს ხელს სვანეთის, როგორც მსოფლიო დონის სათავგადასავლო ტურისტული ადგილის რეპუტაციის გაძლიერებას, ახალი ტურისტული პროდუქტების ან გამოცდილების დანერგვას, რაც ემსახურება ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს, როგორცაა სათავგადასავლო ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი, ეკოტურიზმი, კულინარიული ტურიზმი, გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სხვა.

2.1 თეთნულდის სათხილამურო ტრასების ირგვლივ გაუკვალავ თოვლში სრიალის შესაძლებლობების პოპულარიზაცია

ევროპის ბევრ განვითარებულ სათხილამურო კურორტზე სათხილამურო ტრასების გარეთ სრიალი შეზღუდულია უსაფრთხოებისა და ტერიტორიული რეგულაციების გამო. შესაბამისად, თხილამურებისა და სნოუბორდის მოყვარულები გასწავლული ყურადღებით ეძებენ ისეთ ახალ ადგილებს, სადაც შესაძლებელია გაუკვალავ თოვლში „შეუზღუდავი“ სრიალი. სწორედ ამით არის განსაკუთრებული სვანეთის სათხილამურო კურორტები და განსაკუთრებით თეთნულდის არეალი, სადაც მოყვარულთათვის სრიალი შეზღუდულია მხოლოდ ბუნებრივი რელიეფითა და საზვავე უსაფრთხოების მოთხოვნით. თანამედროვე საბაგროებით, კარგად მოვლილი სათხილამურო ტრასებითა და თავისუფალი სრიალის ასეთი შეთავაზების კომბინაციით ორივე კურორტი „თეთნულდი“ და „ჭაწვალი“ განსაკუთრებით მიმზიდველია ვიზიტორებისთვის.

ჭაწვალი, ცნობილია თავისი ულამაზესი, ტყეში მდებარე „სათხილამურო ტრასით“, სიმაღლის დიაპაზონი 2400-დან 1700 მეტრამდეა. უახლოეს მომავალში ის გაფართოვდება და მოიცავს ახალ ფერდობებს,



რომლებიც მესტიის დასახლებას დაუკავშირდება, რაც სათხილამურო არეალის საერთო გამოცდილებას გაზრდის.

თეთნულდი, თავისი მომხიბვლელი მთის ლანდშაფტით ფრირაიდის მოყვარულებს უსასრულო შესაძლებლობებს სთავაზობს. ეს უნიკალურობა იზიდავს თავისუფალ მოთხილამურეებს (freeride) და ექსპერტებს საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდის საზოგადოებიდან. ორივე კურორტზე სათხილამურო საბაგიროებისა და ტრასების ოპერირებას ახორციელებს „მთის ტრასების სააგენტო (სახელმწიფო კომპანია MTA). თეთნულდის სათხილამურო ზონის, რომელიც 3200-დან 2200 მეტრამდე სიმაღლის დიაპაზონს მოიცავს, შემდგომი განვითარების მიზნით იგეგმება ახალი გონდოლის სადგურის მშენებლობს, რომელიც დაუკავშირებს სამთო-სასრიალო ზონას მულახის ხეობას, რაც ერთ დიდ სათხილამურო არეალს შექმნის.

2.2 არსებული კურორტების გარშემო (თეთნულდი და ჰაწვალი) და ახალი სათხილამურო ფერდობების განვითარება

სკიტურინგის ქსელი (ski-touring): სათხილამურო ტურინგი არის სწრაფად მზარდი სეგმენტი სათხილამურო/სნოუბორდის ინდუსტრიაში, რომელიც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში თავგდასავლების მაძიებელ ფართო აუდიტორიას იზიდავს. ეს სეგმენტი გათვლილია კარგ მოთხილამურე/სნოუბორდერებზე, რომლებიც ახალი სამთო-ტურისტული ტერიტორიების ძიებაში არიან. მსგავსი ტურისტული პროდუქტი არ მოითხოვს დიდ ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს და ძირითადად დაფუძნებულია ბუნებრივი გარემოს მიმზიდველობასა და ტურისტული მომსახურების არსებობაზე. სკიტურინგის ქსელი თავის მხრივ აკავშირებს სხვადასხვა სათხილამურო არეალს და ამით სტიმულირებას უკეთებს ახალი ტურისტული ზონებისა და პროდუქტების შექმნა-განვითარებას.

სკიტურინგის ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ მოყვარულები ყოველთვის ახალ ფერდობებსა და მიმართულებებს ეძებენ. აუცილებელი მზადება, უპირველეს ყოვლისა ითხოვს სათხილამურო მარშრუტებზე ღამისათევი სახლების და მთის ქოხების მოწყობას და მარშრუტების საწყის და ბოლო წერტილებში განლაგებულ სასტუმრო სახლების არსებობას. სათხილამურო ტურიზმის ყველაზე აქტიური სეზონი ზამთარის მიწურული - ადრეული გაზაფხულია, რაც იდეალურ შესაძლებლობას იძლევა ზამთრისა და ზაფხულის სეზონებს გადაბმისათვის.

საბაგირო სისტემები და ზაფხულის სეზონი: ორივე სამთო კურორტზე ზაფხულის პარკებისა და სხვადასხვა ანიმაციის მოწყობით შესაძლებელია ზაფხულის სეზონის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. მსგავსი ინვესტიცია შესაძლოა იყოს მინიმალური (მაგალითად საბავშვო სათამაშო მოედნები, შინაური ცხოველების პატარა ზოოპარკები, საფეხმავლო, ველო, საცხენოსნო, ხელოვნური სასრილო მოედნები და სხვა) ან მნიშვნელოვნად დიდი, როდესაც ხორციელდება დიდი მასშტაბის სათავგადასავლო-გასართობი პარკების პროექტირება-მშენებლობა. მაგალითისთვის ტიროლი, სოლდენის ხეობა „AREA 47“.

სათხილამურო ტურიზმის შეჯიბრებები მოყვარულ სპორტსმენებში ინტერესის გასაჩენად ეფექტური საშუალებაა. ასეთი შეიძლება იყოს სკიტურის მართონები ზემო და ქვედა სვანეთის ხეობებში.

განვითარების პერსპექტივა - ჭუთხაროს სათხილამურო კურორტის შექმნა ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ინიციატივა ეროვნული მასშტაბისაა და მას კოორდინირებას უწევს საქართველოს კურორტების განვითარების სააგენტო. სააგენტოს დავალებით საკონსულტაციო ჯგუფი Ernst & Yang და Compagnie Des Alpes ახორციელებს ტექნიკურ-ფინანსური შესაძლებლობების კვლევას, რომლის მიზანია მთავრობას წარუდგინოს მომავალი კურორტის შექმნის რაციონალური დასაბუთება და განვითარების თანმიმდევრული გეგმა, ფაზების გათვალისწინებით. მოსალოდნელია, რომ კვლევა დასრულდება 2023 წლის შემოგდომაზე (სექტემბერი). კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება ახალი სათხილამურო კურორტის შექმნის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რასაც უმნიშვნელოვანესი გავლენა ექნება ლენტეხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ განვითარებას.

2.3 ზამთრის საერთაშორისო ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების მსოფლიო ტურნირის ფარგლებში

Freeride World Tour და FWT საკვალიფიკაციო ღონისძიებები სვანეთში 2022 წლიდან იმართება. 2022-2023 წლებში წარმატებით ჩატარდა 3, ორ ვარსკვლავიანი საკვალიფიკაციო ტურნირი. თეთნულდის სათხილამურო ზონის მიმდებარე ტრასები საფუძვლიანად შეფასდა და შეირჩა 2 და 4 ვარსკვლავიანი ღონისძიებების ჩასატარებლად FWT/FIS-ის ექსპერტების მიერ, ასევე FWT „challenger“ და FWT Summit 2024-2025 წლებში ჩატარების მიზნით. ამ შეჯიბრების მასპინძლობით სვანეთი მიიღებს განსაკუთრებულ ცნობადობას და პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით.



იმისთვის, რომ სვანეთი Freeski-ს მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდეს, გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო. ეს მოიცავს სამთო-სამაშველო სისტემის დანერგვას, კვალიფიციური ადგილობრივი სამთო-გიდებისა და სამაშველო პერსონალის მომზადებას, სამთო გიდების მუშაობის დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შეჯიბრის ჩასატარებლად ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური რესურსით აღჭურვას. ყველა ეს ინიციატივა უნდა განხორციელდეს მესტიის მერის/დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის, მთის ტრასების სააგენტოს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით და დონორების მხარდაჭერით, როგორცაა USAID, EU, ADA და SiDA.

მომდევნო წლებში სვანეთი გააგრძელებს Freeride Week/Svaneti-ის მასპინძელობას და შეჯიბრების ჩატარების მუდმივი მასპინძელი იქნება და ამით ღირსეულად დაიკავებს პარტნიორის ადგილს მსოფლიოს აღიარებულ სამთო კურორტებს შორის.

საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა შესანიშნავი გზაა ინდუსტრიის უახლესი ტენდენციების, ინოვაციებისა და კვლევების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ეს კონფერენციები უზრუნველყოფენ პლატფორმას დარგის ექსპერტებთან დასაკავშირებლად, გამოცდილების გაზიარებისთვის და საუკეთესო პრაქტიკების გასაცნობად. ასეთ კონფერენციებზე დასწრებამ შეიძლება გააფართოვოს DMO პერსონალის პერსპექტივები, გააჩინოს ახალი იდეები და ხელი შეუწყოს ცოდნის გაცვლას, რაც საბოლოოდ გამოიწვევს პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებას. გარდა ამისა, საერთაშორისო პროფესიონალების, როგორც მოხალისე მენტორების მოწვევა, ადგილობრივ პერსონალს ღირებულ შესაძლებლობას მისცემს ისწავლონ დანიშნულების ადგილის მართვის პრაქტიკებზე და პროაქტიულად იმოქმედონ გამოწვევების დაძლევაში.

5.2 ვიზიტორთა სტატისტიკის შეგროვება, ანალიზი და GIS გამოყენება

დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დახარისხება და ანალიზი, რათა გააძლიეროს დანიშნულების ადგილების მართვა და ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას. ამჟამად, საქართველოს

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას ეროვნულ დონეზე სტატისტიკური ანგარიშების წარდგენა ევალება. თუმცა, ეს ანგარიშები, ძირითადად, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკას და სასაზღვრო პოლიტიკას ეყრდნობა და ფოკუსირებულია უცხოელ ვიზიტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია ეროვნულ დონეზე ღირებულია, ის არ გვაწვდის სტატისტიკას მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე (გარდა გაყიდული ბილეთების აღრიცხვისა). შემოთავაზებული მიდგომა გულისხმობს DMO-ს პერსონალის მომზადებას ტექნოლოგიურ კომპანიასთან თანამშრომლობისთვის, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სვანეთის საჭიროებების შესაბამისი აუთოსორსინგის მომსახურება. აუთოსორსინგის სერვისებისთვის აუცილებელია მომზადდეს დეტალური ტექნიკური სამუშაო პირობების (TOR) დოკუმენტი, რომელიც ასახავს სფეროს, მიზნებს, მიწოდებებს, ვადებს, როლებსა და პასუხისმგებლობებს GIS სისტემის შემუშავებისა და დანერგვისთვის. ეს უზრუნველყოფს პროექტის ეფექტურ მართვასა და ხელმძღვანელობას.

შემოთავაზებული გადაწყვეტის მონახაზი:

რეკომენდებულია შეიქმნას რეგიონალური GIS მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) მონაცემთა შეგროვებისა და განახლების სისტემა რომელსაც მონიტორინგს გაუწევს დანიშნულების მართვის ორგანიზაციებში (DMOs), რაც მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის, ობიექტების და ტურისტული ატრაქციების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და განახლების საშუალებას მოგვცემს.

1. უნდა შეიქმნას სერვერზე დაფუძნებული GIS სისტემა: ცენტრალიზებული სერვერზე დაფუძნებული GIS სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ობიექტების გეოგრაფიული მონაცემების შენახვას, მართვას და ანალიზს.

2. განისაზღვროს GIS სისტემის კომპონენტები:

- ადმინისტრაციული მოდული: მიაწოდეთ DMO-ს პერსონალს საჭირო ინსტრუმენტები მომხმარებლის ანგარიშების, წვდომის ნებართვების და ადმინისტრაციული ფუნქციების მართვისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა შეყვანასთან და სისტემის მართვასთან.
- სტატისტიკის მოდული: მიეცით საშუალება DMO-ს თანამშრომლებს შექმნან ანგარიშები და გააანალიზონ შეგროვებული მონაცემები, რათა მიიღონ ინფორმაცია ტურისტული ტენდენციების, ნიმუშების და გაუმჯობესების სფეროების შესახებ.

- დეტალური რუკის ბაზა: დანერგეთ დეტალური რუკის ბაზა, როგორც სივრცითი მონაცემების წარმოდგენის საფუძველი, რომელიც საშუალებას მისცემს ტურიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ვიზუალიზაციას კონკრეტულ ადგილებში.
- საჯარო მომხმარებლის ინტერფეისი: შეიმუშავეთ მოსახერხებელი ინტერფეისი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის, რაც საშუალებას მისცემს ტურისტებს და ვიზიტორებს მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია ტურისტული ატრაქციების, ობიექტებისა და სერვისების შესახებ.

3. მონაცემთა შეგროვება და მართვა:

- DMO პირდაპირი ფუნქციები: დანიშნეთ და მოამზადეთ DMO პერსონალი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი მონაცემთა უწყვეტ შენარჩუნებასა და მთლიანობაზე. ადგილობრივი ტერიტორიის გაცნობა და ტურიზმთან დაკავშირებული საინტერესო ადგილების ცოდნა მათ ღირებულ აქტივებად აქცევს.
- საწყისი მონაცემების შეყვანა: გამოყავით პერსონალი მონაცემთა პირველადი შეყვანისთვის GIS-ში, რათა სისტემა ტურისტული ინფრასტრუქტურის შესახებ არსებითი ინფორმაციით შეივსოს.
- მიმდინარე განახლებები: საწყისი მონაცემების შეყვანის შემდეგ, განახლებები და ტექნიკური მომსახურება შეიძლება მინიმალური ადამიანური რესურსით განხორციელდეს, რადგან DMO-ს პერსონალს შეუძლია რეგულარულად დაამატოს ახალი ინფორმაცია და შეიტანოს საჭირო ცვლილებები.

4. ხარჯების ოპტიმიზაცია:

- ღია წყაროს ტექნოლოგიები: აირჩიეთ ღია კოდის ტექნოლოგიები ხარჯების მინიმიზაციისთვის. გამოიყენეთ PostgreSQL PostGIS მოდულთან ერთად, როგორც საიმედო მონაცემთა ბაზა სივრცითი მონაცემების შესანახად და გამოიყენეთ QGIS მონაცემთა შეყვანისა და მანიპულაციისთვის.

ასეთი სისტემის დანერგვით, ადგილობრივ DMO-ებს შეეძლება შეასრულონ მთავარი როლი ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაში, მართვასა და განახლებაში, რაც უზრუნველყოფს ფასდაუდებელ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ბიზნესისთვის და ტურისტებისთვის. გარდა ამისა, ღია წყაროს ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს ხარჯების ეფექტურობას და გრძელვადიან მდგრადობას.

5.3 DMO-ს ოპერატიული ეფექტურობის ზრდა

სვანეთის DMO არის მზარდი ორგანიზაცია განვითარების ადრეულ ეტაპებზე. ზრდის დასაჩქარებლად და მიზნების ეფექტურად მისაღწევად, DMO-მ უნდა განახორციელოს ძირითადი რეკომენდაციები:

1. ჩამოაყალიბდეს მკაფიო მიზნები და სამოქმედო გეგმა: DMO-ს აღმასრულებელმა რგოლმა უნდა შეიმუშავოს და წარადგინოს სამოქმედო გეგმა სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს ზოგადი მიზნები და შექმნას 4-წლიანი სამოქმედო გეგმა. ეს გეგმა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას აქტივობების, ბიუჯეტის, მიზნებისა და გამოწვევების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებებით. გაიარეთ კონსულტაცია იურიდიულ ექსპერტებთან და გააერთიანეთ მართვისა და მმართველობის სტრუქტურა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისა და გამჭვირვალე ოპერაციებისთვის. DMO აღმასრულებელი რგოლი უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალებით, რომლებიც უნდა შეირჩნენ კვალიფიკაციის მიხედვით კონკურსის საფუძველზე.
2. განსაზღვროს კვარტალური ან ორწლიანი მიზნები: დაყავით 4-წლიანი გეგმა უფრო მცირე პერიოდებად, რათა დააფიქსიროთ ამოცანები პრიორიტეტულად და ეფექტურად აკონტროლოთ პროგრესი.
3. შეირჩეს და დაკონტრაქტდეს მოტივირებული და პროფესიონალი კადრები: შექმენით დამატებითი სამუშაო პოზიციები, შეადგინეთ სამუშაოს აღწერილობები და დაიქირავეთ მოტივირებული პირები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება თავიანთ სფეროებში.
4. გააფართოვდეს DMO-ს წარმომადგენლობა მუნიციპალური ცენტრების მიღმა: რეგიონის ფართოდ დაფარვის მიზნით, DMO-მ უნდა განიხილოს, რომ წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ხეობასა და სოფელში. ეს შესაძლებელია პატარა ოფისების გახსნით ან წარმომადგენლების დანიშვნით.
5. დაამყარდეს პარტნიორობა: განისაზღვროს ტურისტულ პროდუქტი და მოხდეს ამ პროდუქტების ბიზნესის მიზნით გამოყენება. ეს შეიძლება გულისხმობდეს სერვისის მომწოდებლების წახალისებას ან თავად ტურისტული პროდუქტის განვითარებაში ჩართულობას.

5.4 სვანეთის ბრენდის პოზიციონირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

სვანეთის DMO-მ თავისი ბაზრების ეფექტიანად ამოსარჩევად აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები:

1. განსაზღვრეთ სამიზნე ბაზრები: ყურადღებით ამოირჩიეთ ბაზარი, რომელიც ხელმისაწვდომია DMO-ს სარეკლამო შესაძლებლობებისთვის. ფოკუსირება მოახდინეთ ბაზრებზე, რომლებიც შეესაბამება რეგიონის შეთავაზებებს და გთავაზობთ მდგრადი ზრდის შესაძლებლობებს შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით.

2. იმუშავეთ GNTA-ს პრიორიტეტულ ბაზრებზე: GNTA-სთან თანამშრომლობა საზიარო ბაზრებზე მიზნობრივად გაზრდის გავლენას და შედეგებს. ერთობლივი მარკეტინგული და სარეკლამო ძალისხმევა სვანეთის ტურისტული პოტენციალის ხილვადობის გაზრდას და უფრო ძლიერ პოპულარიზაციას გამოიწვევს.

3. განიხილეთ შესაძლებლობების ლიმიტები: სვანეთში სასტუმროების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მასობრივი ტურიზმი არ არის სიცოცხლისუნარიანი. ამოარჩიეთ საშუალოზე მაღალი ანაზღაურების მქონე ბაზრების ტურისტები და მოერგეთ მათ საჭიროებებს. უზრუნველყავით მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება, უნიკალური და ექსკლუზიური გამოცდილების შეთავაზებით, რომელიც რეგიონის შესაძლებლობების შეზღუდვებს შეესაბამება.

4. გაიარეთ კონსულტაცია GNTA-ს წარმომადგენლებთან: მიმართეთ GNTA-ს წარმომადგენლებს მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრამდე. მათი გამოცდილება მოგცემთ ღირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს შესაფერისი ბაზრების არჩევისა და ეროვნულ ძალისხმევებთან მორგებაში. თანამშრომლობა უზრუნველყოფს კოორდინირებულ მიდგომას და ინტეგრაციას საქართველოს ფართო ტურისტულ ლანდშაფტში.

5. ჩართეთ სამიზნე ბაზრები სამოქმედო გეგმაში: ასახეთ იდენტიფიცირებული მიზნობრივი ბაზრები 4-წლიან სამოქმედო გეგმაში იმისთვის, რომ მოხდეს რესურსების განაწილება, სწორი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება და ეფექტური მონიტორინგის წარმოება. სამოქმედო გეგმაში ინტეგრაცია აუმიჯობებს ძალისხმევას და იძლევა კონკრეტული მიზნების დასახვის საშუალებას.

დასკვნა: ამ ნაბიჯების განხორციელებით, სვანეთის DMO-ს შეუძლია ეფექტურად გამოავლინოს ბაზრის სწორი სეგმენტები, მოიზიდოს ვიზიტორები უფრო მაღალი გადახდისუნარიანობით და გამოაჩინოს რეგიონი, როგორც ექსკლუზიური და სასურველი დანიშნულება.

GNTA-სთან თანამშრომლობა და მიზნობრივი ბაზრების ჩართვა სამოქმედო გეგმაში გააძლიერებს DMO-ს სტრატეგიულ მიზანს, რაც ხელს შეუწყობს სვანეთში ტურიზმის მდგრად განვითარებას.

5.5 მიზნობრივი თანამშრომლობა საჯარო-კერძო სექტორებს შორის

დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური ურთიერთობისთვის, სვანეთის DMO უნდა განიხილოს შემდეგი ნაბიჯები:

1. შესაბამისი ექსპერტების მეშვეობით შეაფასეთ ადამიანური და ფინანსური შესაძლებლობები: ჩაატარეთ DMO-ს ადამიანური და ფინანსური რესურსების საფუძვლიანი შეფასება, რათა გაიგოთ თქვენი შესაძლებლობები და წინაღობები. ეს შეფასება განსაზღვრავს DMO-ის ჩართულობას და როლს ტურიზმის სექტორში, მისი ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გათვალისწინებით.
2. შექმენით ქსელი: წამოიწყეთ ქსელური ინიციატივა მეწარმეების, ფერმერების, ბიზნესის, საწარმოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორის დაკავშირებით. შექმენით დაინტერესებული მხარეების ქსელი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სფეროდან, რათა ხელი შეუწყოს ტურიზმის ინდუსტრიაში თანამშრომლობას.
3. ძირითადი და მცირე ტურიზმის მოთამაშეების იდენტიფიცირება: შეადგინეთ რეგიონის ძირითადი და მცირე ტურისტული მოთამაშეების ყოვლისმომცველი სია, მათ შორის ბიზნესები, ორგანიზაციები და პირები, რომლებიც ჩართული არიან ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ტურისტული რუკის შედგენა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ეფექტურ ჩართულობას.
4. დაინტერესებული მხარეების გადამწყვეტი საჭიროებების განსაზღვრა: განსაზღვრეთ ტურიზმის სექტორის დაინტერესებული მხარეების ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებები გამოკითხვების, ინტერვიუების ან სამუშაო შეხვედრების მეშვეობით. გაიგეთ მათი გამოწვევები, მთავრად მათ DMO-ს აქტივობები ამ საჭიროებების ეფექტურად გადასაჭრელად.
5. პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა თანამშრომლობით: გამოიყენეთ DMO-ის პოზიცია, როგორც შუამავლის და კოორდინატორის, რათა ხელი შეუწყოს ტურიზმის სექტორში პრობლემების გადაჭრას. გააერთიანეთ შესაბამისი მხარეები, წახალისეთ თანამშრომლობა და გამოიყენეთ დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები გადაწყვეტილებების მოსამუშაოდ. ეს მიდგომა აძლიერებს ინდუსტრიაში DMO-ს როლს და ღირებულებას.

6. ღირებულების გაზრდა, როგორც მედიატორის და კოორდინატორის: აქტიურად შეასრულეთ შუამავლისა და კოორდინატორის როლი დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა გააძლიეროთ DMO-ს ღირებულება და გავლენა. ხელი შეუწყვეთ პარტნიორობას, მოაწყვეთ ცოდნის გაცვლის ფორუმები, კოორდინაცია გაუწიეთ ერთობლივ ინიციატივებს და ხელი შეუწყვეთ თანამშრომლობას. ეს ერთობლივი მიდგომა განაპირობებს კოლექტიურ ზრდას და განვითარებას.

დასკვნა: ამ სტრატეგიების მიღებით, სვანეთის DMO-ს შეუძლია ეფექტურად მართოს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა და გახდეს ტურიზმის სექტორის კოორდინატორი. დაინტერესებული მხარეების დაკავშირება, საჭიროებების დადგენა და თანამშრომლობის ხელშეწყობა ხელს უწყობს სვანეთის ტურისტული ინდუსტრიის მთლიან განვითარებას.

- **ტურიზმის განვითარება და საერთაშორისო განვითარების სააგენტოები**

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა სექტორის შესაძლებლობები და ინტერესები. ასეთებს მიეკუთვნება ადგილობრივი ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, პროფესიული კადრები, საჯარო სერვისები, სოციო-ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოებები. სტრატეგიული ამოცანების მიღწევისას აუცილებელია ამ სექტორების როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინება. მსგავსი ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ ტურისტის სექტორის აქტორების, ან DMO-ს მეშვეობით. შესაბამისად, ფართო კოოპერაციას და საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობას (ცალკეული პრიორიტეტული მიმართულების გათვალისწინებით) ალტერნატივა არ აქვს.

საბედნიეროდ, სვანეთი არის დონორი ორგანიზაციების საქმიანობის ფოკუსში და იმედია ასეც დარჩება მომდევნო წლების განმავლობაში.

ცალკეული დონორები და საერთაშორისო განვითარების პროგრამები საქმიანობა მიმართულია კონკრეტული მიზნების მიღწევაზე. საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შეფასდა ცალკეული დონორი ორგანიზაციებისა (მათ შორის USAID, EU, ADA, GiZ, KfW და სხვა) და დაგეგმილი პროგრამების შესაძლო კოოპერაცია ტურიზმის სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დამყარდეს მჭირდო თანამშრომლობა ადგილობრივ პარტნიორ-ბენეფიციარებსა და დონორ ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან, რათა მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული ტექნიკური თუ ფინანსური შესაძლებლობები რეგიონში ტურიზმის კომპლექსური განვითარებისათვის.

მაგალითისთვის, წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ცალკეული დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროგრამების ამოცანები და ამ ამოცანების შესაძლო თანხვედრა ტურიზმის სტრატეგიაში დასახულ სტრატეგიულ მიზნებთან. ცხრილი მხოლოდ ილუსტრაციაა და ზედაპირულ წარმოდგენას იძლევა თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. აუცილებელია, რომ მსგავსი შესაძლებლობები დეტალურად იქნას შესწავლილი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის, ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების მიერ.



ორგანიზაცია	პროგრამა	პროგრამის სპეციფიკური მიზნები	თანამშრომლობის შესაძლებლობები
USAID	ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა Economic Security Program	ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების ხელშეწყობა მათი პოტენციალისა და განვითარების პრიორიტეტული შესაძლებლობების გათვალისწინებით. ტურიზმის სექტორი ცალსახად პრიორიტეტია, განსაკუთრებით - სათავგადასავლო ტურიზმი, კულტურულ-ისტორიული ტურიზმი, ღვინო და გასტრონომიული ტურიზმი. ამასთან ერთად პროგრამა ეხმარება ინტელექტუალური სერვისების განვითარებას, მყარი ნარჩენების მართვას, შემოქმედებით ინდუსტრიებს.	საერთაშორისო შეჯიბრების (სათავგადასავლო) და ფესტივალების (კულტურა-ისტორია) დაგეგმვა-ორგანიზირებაში მხარდაჭერა, ტურისტული პროდუქტის შექმნა, მარკეტინგი და მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება.
USAID	ძლიერი სოფლის პროგრამა Resilient Communities	საზღვრისპირა (ოკუპირებული ტერიტორიები) სოფლების და მიმდებარე რეგიონის მაცხოვრებელთა ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა.	მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე დასახლებული რეგიონებისა და სოფლების მაცხოვრებლების/ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობა ტურისტულ ინდუსტრიასთან.
USAID	პროფესიული კადრების მომზადება Industry-led Skills Development Program	ინდუსტრიების, მათ შორის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა კვალიფიციური კადრების მომზადების გზით. მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა.	სამთო-სათავგადასავლო პროფესიების/კლასტერების გაფართოება, სასწავლო პრაქტიკისა და სერტიფიცირების სისტემის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფილიალის შექმნაში მხარდაჭერა.
USAID	ადგილობრივი მმართველობის პროგრამა	საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა (მათ შორის ტურიზმის მიმართულებით). ურთიერთმომგებიანი და ხანგრძლივი პარტნიორობის	თანამშრომლობის მაგალითების ხელშეწყობა უკეთესი საცხოვრებელი და რეკრეაციული გარემოს

ორგანიზაცია	პროგრამა	პროგრამის სპეციფიკური მიზნები	თანამშრომლობის შესაძლებლობები
	Local Governance Program	მხარდაჭერა საზოგადო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის.	შექმნის მიზნით (პარკები, საზოგადო ტრანსპორტი, უსაფრთხოება, სხვა)
USAID	ეკონომიკური მმართველობის პროგრამა Economic Governance Program	ეკონომიკური მმართველობის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა (მათ შორის ტურიზმის სექტორში). ტურიზმის კანონის მომზადებაში მხარდაჭერა, საკანონმდებლო-მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება და DMO-ს სტატუსის განსაზღვრა.	ტურიზმის კანონპროექტის ფარგლებში DMO-სა და საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება, შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტის მიღება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
USAID	სოფლის მეურნეობის პროგრამა Agriculture	სოფლის მეურნეობაში წარმატებული მიმართულებების მხარდაჭერა (ღირებულებათა ჯაჭვის პრინციპით), შემოსავლების გენერირება და სამუშაო ადგილების შექმნა სასოფლო ზონებში - მათ შორის: მეხილეობა, მებოსტნეობა, თხილი, ჩაი და სხვა.	ტრადიციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გამოყენებით ადგილობრივი ჯიშების აღდგენა-კულტივირება და მათი მეშვეობით გასტრონომიული ტურისტული პროდუქტების შექმნა.
USAID	ბიზნესის ხელშეწყობის სერვისი Business Support Service	მიკრო-მცირე და საშუალო ზომის საწარმოების უნარების განვითარება ფინანსებთან წვდომის, ბიზნესის დაგეგმარების, ფინანსური მენეჯმენტისა და მარკეტინგის გზით.	ინდივიდუალური, მიკრო და მცირე ტურისტული საწარმოების (სასტუმრო, რესტორანი, ტრანსპორტი, გიდი) ხელშეწყობა ბიზნესის მართვისა და ფინანსური მენეჯმენტის სწავლების გზით.

ორგანიზაცია	პროგრამა	პროგრამის სპეციფიკური მიზნები	თანამშრომლობის შესაძლებლობები
USAID-DoI	დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკების ტექნიკური დახმარება USA/ITAP-DoI	დაცული ტერიტორიების ეკონომიკური მართვის მოდელების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების გამოცდილების გაზიარების გზით. დაცულ ტერიტორიებზე (ბუნებრივი და კულტურული ძეგლები) ეკოტურიზმისა და სხვა ტურისტული სერვისების დანერგვა და მათი ეფექტური მართვა.	ეკოტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების მართვის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება და ადაპტირება სვანეთის მაგალითზე. ისტორიულ-ბუნებრივი ძეგლების ეკონომიკური შესაძლებლობების გონივრული გამოყენება.
GiZ - MBZ	კერძო სექტორის განვითარება პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების გზით სამხრეთ კავკასიაში	კერძო სექტორის თანამონაწილეობა პროფესიული კადრების მომზადებასა და დასაქმებაში. მაღალკონკურენტუნარიანი პროფესიების სწავლებისა და სამუშაო პრაქტიკის დანერგვა - მათ შორის ტურიზმი, ღვინო და გასტრონომია, ხის დამუშავება, ხელსაქმე, და სხვა.	პროფესიული სწავლების კურსების დაფინანსება, ტრენინგების ორგანიზება - სათავადასავლო ტურიზმის გიდები, მასპინძლობის ინდუსტრია, საკვების წარმოება, მცირე სასტუმრო სახლების/სასტუმროების მართვა.
GiZ co-funded with SDC	კლიმატის ცვლილებებთან თავსებადი ტყის რესურსების მართვა	სატყეო ტერიტორიების მომიჯნავე სოფლების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება გარემოზე მინიმალური ზიანის მიყენების გათვალისწინებით.	ენერგო ეფექტური, და ენერგო დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა ტურიზმის ინდუსტრიაში - მცირე ზომის სასტუმროების, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და მთის ქოხების ენერგოუზრუნველყოფა.

ორგანიზაცია	პროგრამა	პროგრამის სპეციფიკური მიზნები	თანამშრომლობის შესაძლებლობები
EU/SiDA/ADA	გრეტა: მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული მეურნეობა	მესტიისა და ლენტეხის (და რაჭა ზემო-იმერეთი 6 მუნიციპალიტეტის) მოსახლეობის მხარდაჭერა სამთო ტურიზმისა და ორგანული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის გზით. ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა.	სვანეთის DMO-ს ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა, საერთაშორისო სპორტულ-მარკეტინგული ღონისძიებების მხარდაჭერა სვანეთის პოპულარიზაციის მიზნით (ფრირაიდი, ჰაილენდერი, სხვა). სწავლება და გამოცდილების გაზიარება ევროპის წამყვანი ქვეყნების მაგალითზე. ტექნიკური მხარდაჭერა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად.

საერთაშორისო პრაქტიკა - ტურისტული ადგილების მართვის წარმატებული მაგალითები

ტიროლი, ავსტრია

ტიროლი, ავსტრიის სამთო-რეგიონია და მას ე.წ. „ევროპის სამთო ტურიზმის დედაქალაქს“ უწოდებენ. რეგიონის მარკეტინგისა და რეკლამირების ოფიციალურად აღიარებული ორგანიზაციაა „Tirol Werbung“ (ტიროლ ვერფბუნგი). საჯარო ორგანიზაციას სახელმწიფო კომპანიის სტატუსი აქვს, და მისი საქმიანობის მთავარი მიზანია ტიროლის პოზიციონირება და საერთაშორისო მოგზაურების მოზიდვა. Tirol Werbung მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ბიზნესთან, ტურიზმის საჯარო-სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რეგიონალურ მმართველობის ორგანოებთან. გასათვალისინებელია, რომ ავსტრია ფედერალური მოწყობის ქვეყანაა, სადაც ადგილობრივ და რეგიონალურ მმართველობას განსაკუთრებული უფლება-მოვალეობები აკისრია.

Tirol Werbung-ის საქმიანობის მთავარი მიზანია მსოფლიოს გააცნოს ტიროლის მხარის განსაკუთრებულობა, მისი ბუნებრივ-კულტურული თუ ისტორიული კონტექსტი და განსაკუთრებული ხასიათი. ასევე შესთავაზოს ვიზიტორებს მრავალფეროვანი სერვისი და სამოგზაურო თუ დასვენების შესაძლებლობები. სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მისაქცევად Tirol Werbung წარმატებით იყენებს სხვადასხვა ტიპის მარკეტინგულ აქტივობებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმებს, სოც-მედიას, ციფრულ მარკეტინგს, ბრენდირებას და საერთაშორისო გამოფენების მასპინძლობისა და მონაწილეობის პრაქტიკას. ამ პროცესში, იგი აქტიურად ეხმარება მცირე და ჯერ კიდევ ნაკლებად პოპულარულ ხეობებსა და ადგილებს, რომ შექმნან და წარმოაჩინონ ახალი განსაკუთრებული

შეთავაზებები. ამ გზით უზრუნველყოფილია რეგიონის შემოთავაზებების მუდმივი განახლება და მარკეტინგური რესურსების ოპტიმიზაცია.

Tirol Werbung საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია მარკეტინგზე, გაყიდვების ზრდაზე, სოც-მედიის გამოყენებით საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე და ბრენდის გამოყენებაზე. თავად მცირე და საშუალო ზომის ტურისტული ადგილების მენეჯმენტი ხორციელდება ადგილობრივი DMO-ს მეშვეობით, მათ შორის არის თავად ქალაქ ინსბრუკის DMO. ეს ცალკეული ორგანიზაციები (ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ორგანიზაციები) ერთმანეთთან თანამშრომლობენ ტურიზმის ასოციაციების ფორმით და ერთიანდებიან ე.წ. ტიროლის DMO-სახით ერთ დიდ გაერთიანებში სახელად Tyrol ტურისტული კავშირი (Verein der Tiroler Tourismusverbände).

საინტერესოა პარალელების გავლება ტიროლსა და სვანეთს შორის, როგორც წარმატების მაგალითი სტრატეგიური ხედვის, ამოცანებისა და აქტივობების რეალიზაციის პროცესში. თანამშრომლობას ტიროლის მარკეტინგსა და ტიროლის DMO-ს შორის უზრუნველყოფს ტიროლის ტურიზმის საბჭო (Tyrol Tourism Board (TTB), რომელშიც შედი ტიროლის რეგიონის მართვებლობა, ტიროლის სავაჭრო პალატა, DMO-ს კავშირი და ტურიზმის მარკეტინგული საბჭო Tirol Werbung.

ტრენტინო, იტალია

Trentino Marketing „ტრენტინოს მარკეტინგი“ წამყვანი მარკეტინგული ორგანიზაციაა, რომლის უმთავრესი ფუნქციაა ტრენტინოს მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რეკლამირება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. ორგანიზაცია შეიქმნა 2015 წლის 30 ივნისს, მისი დამფუძნებელია Trentino Sviluppo SpA, 100% საჯარო მფლობელობაში არსებული კომპანია, რომელის დამფუძნებელია ტრენტოს ავტონომიური ოლქი. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს პროვინციის დედაქალაქ ტრენტოში. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს მიმდებარე რეგიონის ანალოგიურ ორგანიზაციებთან და აქვს 4 ოფისი ტრენტინოს რეგიონში.

მსგავსად ტიროლისა, ტრენტინოს მარკეტინგი იმართება ტურისტული დანიშნულების ადგილის კლასიკური მოდელის მიხედვით (საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობის პრინციპით). პროვინციის ზომიდან გამომდინარე ორგანიზაციას არ აქვს ორგანიზაციული გამაერთიანებელი სტრუქტურა ასოციაციის სახით. იგი ცენტრალიზირებული ორგანიზაციაა და პროვინციის ტერიტორიას ფარავს 4 რეგიონალური ოფისის მეშვეობით და მოიცავს 11 ტურისტული დანიშნულების ადგილს (ტერიტორიას) და იქ არსებულ მცირე ოფისებს.

ტრენტინოს მარკეტინგული ორგანიზაცია ეფექტურად მართავს რეგიონალურ ოფისების მეშვეობით ერთიან მარკეტინგულ აქტივობებს და უზრუნველყოფს ჰარმონიულ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ოფისებს შორის. ამით შენარჩუნებულია ერთიანი მარკეტინგული ხედვა და რესურსების ეფექტური მართვა.

მთავარი მარკეტინგული აქცენტები კეთდება ტრენტინოს უნიკალურ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე (იუნესკოს რამოდენიმე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი და ტრენტინოს ალპური ეროვნული პარკი). ერთიანი ხედვა, სტრატეგიული მიდგომა და მარკეტინგული და ადგილის მართვის ოფისების თანამშრომლობა უზრუნველყოფს ტრენტინოს, როგორც წამყვანი ტურისტული რეგიონის პოზიციონირებას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

გრანდ მასივი (ადმოსავლეთ ალპების სამთო-სათხილამურო კურორტები), საფრანგეთი

გრანდ მასივი აერთიანებს რამდენიმე ცნობილ სათხილამურო კურორტს საფრანგეთის ალპებში. გრანდ მასივის მენეჯმენტს ახორციელებს კომპანია Compagnie Des Alpes (CDA), რომელიც არის საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორული წესით დაფუძნებული კომპანია. CDA ახორციელებს სამთო-სათხილამურო კურორტების პირდაპირ ოპერირებას. მის მმართველობის სტრუქტურაში არის საფრანგეთის სახელმწიფო ჰოლდინგი რომელიც ფლობს კომპანიის 35% წილს (Caisse des Dépôts et Consignations-CDC), ხოლო დანარჩენი მფლობელები კერძო სექტორის წარმომადგენლები არიან.

გრანდ მასივის შემთხვევაში კურორტების მართვას ახორციელებენ კონცესიონერი კომპანიები, მათ შორის სახელმწიფო-კერძო შერეული მფლობელობაში მყოფი კომპანიები. ასეთ კორპორაციებს აქვთ კურორტების მართვის ისტორიული გამოცდილება, თუმცა მათი საქმიანობის ხარისხზე ადგილობრივი მმართველობის გავლენა ფაქტობრივად არ არსებობს. მართვისა და რეგულირების მექანიზმი ცენტრალური მთავრობის მიერ არის შემუშავებული. შესაბამისად, დაცულია გეგმარებითი დოკუმენტებისა და სტანდარტების აღსრულების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ხარისხის კონტროლს კურორტების მართვაში. სხვა ალპურ ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთში ადგილობრივი მართვის ორგანიზაციების DMO-ს გავლენა შესუსტებულია. მიუხედავად იმისა რომ ასეთი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ადგილზე დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობას, გადაწყვეტილებების მიღების დროს ძირითადად გათვალისწინებულია მსხვილი კორპორაციების მოსაზრებები და ინტერესები.



სტრატეგიის სამოქმედო გეგმა

ტურიზმის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (5 წლის პერსპექტივა) წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ქმედებების „გზამკვლევს“. სამოქმედო გეგმაში ასახულია ცალკეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედებების ჩამონათვალი, აქტივობის მოკლე განმარტება, განმახორციელებელი და მხარდამჭერი სუბიექტები, დროის პერიოდი და სავარაუდო ბიუჯეტი.

სტრატეგიული ხედვა ეფუძნება ურთიერთგაზიარებულ ღირებულებებსა და საერთაშორისო ტენდენციებს, ხედვის რეალიზაციისათვის წარმოდგენილია 5 სტრატეგიული მიზანი, ხოლო ცალკეული მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია 45-მდე კონკრეტული პრიორიტეტული ქმედება და 122 ცალკეული აქტივობა. ასევე შემოთავაზებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მონიტორინგისთვის საჭირო ინდიკატორები. ამ პროცესში სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის. სხვადასხვა კონკრეტული ქმედების განხორციელება მოითხოვს საჯარო, კერძო, სათემო, სამეცნიერო თუ კვლევითი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას, რისთვისაც აუცილებელი სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება და რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ადმინისტრაციული) ოპტიმალური გამოყენება.

სვანეთის DMO „შანლენდი“ უნდა გახდეს მსგავსი თანამშრომლობის კატალიზატორი და უზრუნველყოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ინიცირება, ზოგიერთ შემთხვევაში კი უშუალოდ განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული მნიშვნელობის პროექტების შესახებ ინფორმირება (მაგალითად როდესაც საკითხი ეხება ინფრასტრუქტურასა და საჯარო სერვისებთან წვდომას) და დონორ ორგანიზაციებთან მუდმივი საქმიანი კავშირის შენარჩუნება, რათა პროგრამული ამოცანები მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული.

სამოქმედო გეგმის ცხრილები ე.წ. „მატრიცები“ ასახავენ სტრატეგიულ მიზნებს და ამ მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულ ქმედებებს და კონკრეტულ აქტივობებს. თითოეული ქმედება წინასწარ განმარტებულია დოკუმენტში და მხოლოდ ამის შემდგომ არის წარმოდგენილი ცხრილის სახით, სადაც კომპაქტური ფორმით მოცემულია ცალკეული ქმედება, ქმედების განმახორციელებელი ორგანიზაცია, სავარაუდო დრო და ბიუჯეტი.

სტრატეგიული მიზანი 1: ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების გაუმჯობესებით უკეთესი საცხოვრებელი და დასასვენებელი გარემოს შექმნა

SI 1.1	ურბანული გეგმარება, მიწათსარგებლობა და ისტორიული იერსახის შენარჩუნება	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
1.1.1	მესტიის მუნიციპალიტეტი - მულახისა (დამტკიცებულია) და უშგულის თემის (გაგზავნილია UNESCO). მსგავსი რეგულირების დოკუმენტები საჭიროა შეიქმნას სხვა ისტორიულ-ბუნებრივი ლოკაციებისთვის.	მესტია	მუნიციპალიტეტი, ინფრ. და ეკონ. სამინისტრო	ხარჯის გარეშე	1 წელი
1.1.2	შეიქმნას და დამტკიცდეს ურბანული და მიწათსარგებლობის დოკუმენტები მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებისათვის.	მესტია ლენტეხი	საკრებულო	ხარჯის გარეშე	3 წელი
1.1.3	კონკრეტული ისტორიულ-ტურისტული მნიშვნელოვანი ობიექტების გენ გეგმების მომზადება/ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის საყრდენი გეგმებით.	მესტია ლენტეხი	მუნიციპალიტეტი, ინფრ. და ეკონ. სამინისტრო	ხარჯის გარეშე	3 წელი
შედეგი	ისტორიული გარემოს-განაშენიანების შენარჩუნება და განვითარების გეგმაზომიერი დაგეგმარების პრაქტიკის დანერგვა.				
SI 1.2	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმარებითი მოთხოვნებისა და გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
1.2.1	ინვესტიციების განხორციელებისას ტურიზმის სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება	მესტია ლენტეხი	DMO / საკრებულო/ მერის ოფისი	ხარჯის გარეშე	მიმდინარე
1.2.2	მესტიის ცენტრის სეტი კეთილმოწყობა, სამშენებლო/რეკონსტრუქციის დასრულება და ტურისტული სერვისების განთავსება, საინფორმაციო ცენტრის მოწყობა/DMO ოფისი	მესტია	მუნიციპალიტეტი და ცენტრალუ	TBD	3 წელი

			რი ხელისუფლ ება		
1.2.3	ახალი საბაგრო კომპლექსის ტექნ-ეკონ დასაბუთება/კვლევა მესტია-ქურულდის ტბები-ჭალათის მყივარი; დაახლოებით სიგრძე 9 კმ. 4 სეზონიანი	მესტია	MTA/MoESD	500,000 EUR	1 წელი
	მულახი (ჩვაბლიანი) და თეთნულდის დამაკავშირებელი საბაგრო გზის მშენებლობა	მესტია	MTA/MoESD	9 მილიონი UER	2 წელი
	სარეკრიაციო-გასართობი მულტიფუნქციური პარკის დაპროექტება/მშენებლობა მესტიის აეროპორტის მიმდებარედ	მესტია	მუნიციპალი ტეტი/MDF	TBD	3 წელი
	მთ.ჭითხაროს (ჭუთხაროს) სათხილამურო 4 სეზონიანი კურორტის ტექნ-ეკონომიკური დასაბუთება (RDA-E&Y)	ლენტეხი	MTA/MoESD	TBD / მიმდინარე	1 წელი
1.2.4	ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია და ვიზიტორთა საინტერპრეტაციო ცენტრის შექმნა	ლენტეხი	მერის ოფისი/ადგ. ხელისუფლ ება/დონორ ი	100,000 EUR	2 წელი
1.2.5	ალპიური ბანაკების ზესხო და აილამას ალდგენის პროექტირება და ტექნ-ეკონ კვლევა; ისტორიული სოფლის მახაში კონსერვაცია-რეაბილიტაცია.	ლენტეხი	MDF/RDA- MoESD	მიმდინარე	მიმდინარე
1.2.6	ლენტეხში სათავგადასავლო აქტივობების ცენტრი-სათავგადასავლო პარკის შექმნა - ნაოსნობა, ზიპ-ლაინი, ბუნებრივი გარემო, შემეცნებითი/გასართობი/კემპინგის სივრცის მოწყობა.	ლენტეხი	DMO/LSG	TBD	5 წელი
1.2.7	ჰელისკის და სკიტურინგის განვითარების ხელშეწყობა - არეალის შესწავლა და განთავსების ობიექტების შექმნა	ლენტეხი	DMO/LSG	TBD	3 წელი
შედეგი	ახალი ტურისტული არეალების ათვისება, ახალი აქტივობების შეთავაზება და გარემოსთან თავსებადი ინვესტიციების მოზიდვა.				
SI 1.3	მდგრადი და ხარისხიანი ენერგომომარაგება	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებ ელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
1.3.1	ენერგომომარაგების სისტემის მზადყოფნის შეფასება ადგილობრივი და	მესტია,	მარეგულირ	ხარჯის	5 წელი

	ტურისტული მოხმარების სტანდარტების გათვალისწინებით, ტარიფიზაციის სისტემის გაუმჯობესება და ეკონომიკური გათვლები	ენერგეტიკის პოლიტიკა	ებელი, ეკონ. სამინ. ენერგეტიკა	გარეშე	
1.3.2	ტექნიკურ-ეკონომ. დასაბუთება და ინვესტიციები მცირე/საშუალო ჰიდრო სადგურებში, მოხმარებაში მათი ხვედრითი წილის გაზრდა	მესტია ლენტეხი	ინვესტიციები	TBD	5 წელი
1.3.3	შენობების (მუნიციპალური, საჯარო) ენერგოეფექტურობის გაზრდა, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა	მესტია ლენტეხი	დონორთა დაფინანსებით	TBD	5 წელი
1.3.4	ტექ-ეკონ შესაძლებლობების შეფასება გაზომიარაგების მაგისტრალისა და ქსელის შესაქმნელად.	მესტია ლენტეხი	მთავრობა,	TBD	5 წელი
შედეგი	მდგრადი და ხარისხიანი ენერგომომარაგება, ენერგოდანაკარგების შემცირება (მოხმარების ხვედრითი წილის შემცირება) აღდგენადი ენერგიების წილის ზრდა გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება.				
SI 1.4	გზები და რეგიონალური კავშირები	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
1.4.1	ზუგდიდი-მესტია სახელმწიფო გზის მუდმივი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია	მესტია	SRD/MoESD	TBD	მიმდინარე
	მესტია-უშგული - ცანა-ლენტეხი (ზაგაროს უღელტეხილი) რეკონსტრუქციის დასრულება	მესტია	SRD/MoESD	TBD	მიმდინარე
1.4.2	ლენტეხი შიდა მუნიციპალური გზების მიმდინარე რეაბილიტაცია (დაახლოებით 140 კმ)	ლენტეხი	SRD/MoESD	TBD	მიმდინარე
1.4.3	ლენტეხი - ზესხო, მოაში, აილამა - გზის მონაკვეთების მოწესრიგება	ლენტეხი	SRD/LSG	TBD	მიმდინარე
შედეგი	წრიული სამოგზაურო მარშრუტი (ავტომაგისტრალის დასრულების შემდეგ) ქუთაისი-ლენტეხი-უშგული-მესტია-ზუგდიდი და ქვემო და ზედა სვანეთის ტურისტული გზა.				
SI 1.5	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
1.5.1	საზოგადო ტრანსპორტის გამოყენების პრაქტიკის დანერგვა და ავტომობილებისგან თავისუფალი ისტორიულ რეკრიაციული ზონები.	მესტია ლენტეხი	LSG, კერძო	100,000 EUR	3 წელი
1.5.2	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის შექმნა მესტია-მიმდებარე სოფლების დაკავშირებით	მესტია ლენტეხი	LSG, კერძო	100,000 EUR	1 წელი

1.5.3	მესტიისა და ლენტეხის ავტოსადგურების ტერიტორიის კეთილმოწყობა	მესტია ლენტეხი	LSG / DMO	50,000 EUR	1 წელი
შედეგი	ტურისტული ნაკადების გადანაწილება ზემო და ქვედა სვანეთსა და ხეობებში. მოსახლეობის მობილურობა და დასაქმება.				
SI 1.6	რეგიონული და საერთაშორისო კავშირები	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებ ელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო ღრძ
1.6.1	მესტიის აეროპორტისა და საფრენი მიმართულებების აღჭურვა სანავიგაციო სისტემებით. მინ. 2 ფრენა ყოველდღე/სეზონის ღრძს დამატებით	მესტია	სამოქალაქ ო ავიაგია მესტიის აეროპორტი	TBD	5 წელი
1.6.2	ჩიხარეშის აეროპორტის საჭიროების ტექ/ეკონომ. დასაბუთება რეგიონის პერსპექტიული განვითარების გათვალისწინებით	ლენტეხი	სამოქალაქ ო ავიაგია ეკონ. სამინისტრ ო	TBD	3 წელი
შედეგი	მგზავრთა გადაზიდვის გაზრდა, მიწვდომადობა, კომფორტი, უსაფრთხოება და სამაშველო ოპერაციების ცენტრის ბაზირება				
SI 1.7	წყალმომარაგება და წყალარინების სისტემების მოწყობა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებ ელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო ღრძ
1.7.1	წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის გაუმჯობესება მესტიაში	მესტია	GOG	TBD	TBD
1.7.2	წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია/პროექტირება/მშენებლობების დაგეგმვა საავტომობილო გზის გაყოლებაზე მესტიისა და ლენტეხის სოფლებში (20-მდე სოფელი)	მესტია ლენტეხი	LSG	2.5 მილიონი EUR	5 წელი
შედეგი	მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, სანიტარული ნორმების დაცვა.				
SI 1.8	მყარი ნარჩენების მართვა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებ ელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო ღრძ
1.8.1	ნარჩენების მიღება-გადამუშავებისა და სორტირების სადგურის შექმნა (მესტია, სოფ. ლახანი)	მესტია	GOG, კერძო	500,000 EUR	2 წელი
1.8.2	ნარჩენების სორტირებისა და გადაზიდვის სადგურის შექმნა ცაგერში და	ლენტეხი	GOG	250,000	2 წელი

	ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაკავშირება ქუთაისის პროექტთან			EUR	
1.8.3	ნარჩენების მინიმიზაციის მიზნით მოსახლეობის გათვიცნობიერება, ნარჩენების სეპარაცია და შეგროვება-გადამუშავება ადგილობრივი შესაძლებლობებით	მესტია ლენტეხი	GOG/LSG/NG O	TBD	4-5 წელი
შედეგი	ნარჩენების მინიმიზაცია, შეგროვება-სეპარაცია-გადამუშავება-გადაზიდვის ეფექტური პრაქტიკის დანერგვა.				

სტრატეგიული მიზანი 2: მსოფლიო დონის უნიკალური ტურისტული შეთავაზების და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა

SI 2.1	თეთნულდის სათხილამურო ტრასების ირგვლივ გაუკვალავ თოვლში სრიალის შესაძლებლობების პოპულარიზაცია	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.1.1	ახალი სათხილამურო მარშრუტების დაგეგვა, მარკირება და შეთავაზება	მესტია ლენტეხი	MTA	ხარჯის გარეშე	1 წელი
2.1.2	მარშრუტების სახიფათო უბნებზე საზვავე უსაფრთხოების სისტემების მოწყობა	მესტია ლენტეხი	MTA	TBD	3 წელი
2.1.3	სათხილამურო მარშრუტების პოპულარიზაცია, რუკები, აპლიკაციები, კონტაქტები	მესტია ლენტეხი	GMGA / DMO	TBD	სხვადასხვა
შედეგი	მოთხილამურე დამსვენებლების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა +25%.				
SI 2.2	არსებული კურორტების გარშემო (თეთნულდი და ჰაწვალი) და მის ფარგლებს გარეთ ახალი სათხილამურო ფერდობების განვითარება	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.2.1	მარშრუტების მარკირება, რუკები და გიდების მომსახურება	მესტია	DMO	50,000 EUR	1 წელი
2.2.2	სამთო ქოხების, ღამისსათევების ქსელის შესწავლა, ადგილების განსაზღვრა, შეფასება და პროექტირება	მესტია ლენტეხი	DMO/დონორები	15,000 EUR	1 წელი
2.2.3	ეფექტური და მუდმივმზადყოფნაში მყოფი ადგილობრივი სამაშველო სამსახური	მესტია, ლენტეხი	MTA / MoIA– სამაშველო სამსახური	150,000 EUR	3 წელი
შედეგი	პოპულარობის ზრდა, უსაფრთხოების ხარისხი, შედეგად ვიზიტორების ზრდა წლიური +20%.				

SI 2.3	ზამთრის საერთაშორისო ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა თავისუფალი სრიალის ფირიადის მსოფლიო ტურნირის ფარგლებში	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.3.1	მრავალწლიანი პარტნიორობის გაფორმება ფირიადი მსოფლიო ტურთან და ჰაილენდერთან - სვანეთი მასპინძლობს!	მესტია	MTA/DMO/დონორები	200,000 EUR	1-3 წელი
2.3.2	სხვა საინტერესო ღონისძიებების მასპინძლობის ინტერესის განაცხადი	მესტია ლენტეხი	DMO/MTA	ხარჯის გარეშე	მიმდინარე
2.3.3	სპორტული შეჯიბრი-ფესტივალების ყოველწლიური კალენდარი	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	1 წელი
Results	მაღალმხარჯველი სეგმენტის მოზიდვა, ზამთრის სეზონზე ვიზიტორების ზრდა მჯიბრების პერიოდში და შემდგომ +30%.				
SI 2.4	“მემკვიდრეობის ბილიკის“ განვითარება ისტორიული მოვლენებისა და ტრადიციების კვალდაკვალ	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.4.1	კავკასიის მკვლევარების კვალდაკვალ - მწვერვალებზე პირველამსვლელების ისტორიები (მოძიება, დაგეგმვა, დაფინანსება, რეალიზაცია, მარკეტინგი)	მესტია ლენტეხი	DMO, ადგილობრივი NGO, Mayor	50,000 EUR	1 წელი
2.4.2	ახალი საინტერესო წინადადებებისა და შესაძლებლობების კონკურსი - სპორტი და თავგადასავალი	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მიმდინარე
შედეგი	ცნობადობა, მეტი ვიზიტორი, ინოვაციები-ტრადიციებში, ეკონომიკური ეფექტი.				
SI 2.5	ისტორიული სოფლებისა და უბნების გაცოცხლება	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.5.1	თემატური წარმოდგენები, ისტორიების გაცოცხლება და ინტერპრეტაცია ვიზიტორთა თანამონაწილეობით	მესტია ლენტეხი	DMO	50,000 EUR	1-3 წელი
შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა-გაფრთხილება, ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენება, დაუვიწყარი შთაბეჭდილებების შექმნა.				
SI 2.6	სვანეთის ისტორიული თემების-ხეობების საცხენოსნო, სამთო ველოსიპედისა და სალაშქრო ბილიკებით დაკავშირება	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო

2.6.1	"ხეობიდან-ხეობაში" ისტორიული ბილიკებით მოგზაურობა ტურისტული შეთავაზება და ადგილობრივი მეგზურობის მომზადება	მესტია ლენტეხი	DMO / გიდები	100,000 EUR	3 წელი
შედეგი	ტურისტული აქტივობის არეალის მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლებისა და ხეობების მონახულება, მეტი ადგილობრივი მასპინძელი და მეგზური.				
SI 2.7	სვანეთი-სამეგრელო-რაჭა დამაკავშირებელი მრავალდღიანი საფეხმავლო ბილიკების პოპულარიზაცია	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.7.1	ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი 3 -5 განსაკუთრებით მიმზიდველი ბილიკის მარკირება და დამისსათევების პროექტირება/მოწყობა.	მესტია ლენტეხი	DMO/დონორები	50,000 EUR	1 წელი
2.7.2	პროექტირება და თანაინვესტირება, მინ.3 სამთო-ქოხის მოწყობა. სავარაუდო ლოკაციების შერჩევა (უშბა, თეთნულდი, სვანეთის ქელი)	მესტია ლენტეხი	DMO/MTA/ინვესტორები	200,000 EUR	5 წელი
შედეგი	ახალი მარშრუტების განვითარების შესაძლებლობა, უსაფრთხოება და მინიმალური ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით დამისსათევების შექმნა.				
SI 2.8	პარტნიორების უზრუნველყოფა „გიდი-ბილიკი-ქოხი-მაშველი“ კონცეფციის პოპულარიზაციისთვის	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.8.1	კოოპერაცია-პარტნიორობა გიდები-მაშველები-ოპერატორებს შორის	მესტია, ლენტეხი	DMO / 112 / GMGA	TBD	3-5 წელი
შედეგი	უსაფრთხო სამთო ოპერირება, რისკების მინიმოზაცია და ეფექტური სწრაფი სამთო სამაშველო სამსახურის შექმნა.				
SI 2.9	სტუმარმასპინძლობის კონცეფციის დანერგვა, რომელსაც თან ახლავს განთავსების ადგილების, მთის ქოხების, კვების და გართობის სერვისების გაუმჯობესებული სტანდარტები	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
2.9.1	ტრადიციული გასტრონომიული გამოცდილების გაზიარება	მესტია, ლენტეხი	თეთნულდის კოლექტი/DMO	50,000 EUR	3 წელი
2.9.2	კონცეფციის განვითარება და პოპულარიზაცია -"Mountain Host" ხარისხის ნიშანი	მესტია, ლენტეხი	ATS/GMGA / DMO	25,000 EUR	1 წელი

შედეგი	სტუმარ მასპინძლობის პროცესში ისტორიული სამეურნეო ტრადიციის გამოყენება; გასტრონომიის კვლევა, პრაქტიკა და შეთავაზება.
--------	---

სტრატეგიული მიზანი 3: ტურიზმის სფეროში პროფესიული განვითარება და სწავლება

SI 3.1	სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფილიალის გახსნა მესტიაში – „ვესტ ფონტი“	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.1.1	საგრანტო დაფინანსების მოპოვება USAID Industry-led Skills პროგრამიდან, ESP არქიტ. პროექტით მხარდაჭერა და მშენებლობის დაფინანსება RDA	მესტია	GMGA/ATS	ფონდი მოძიებულია	2 წელი
3.1.2	"West Point" შენობის არქიტექტურა, მიწის გაფორმება მშენებლობის ნებართვა	მესტია	GMGA/ATS	ფონდი მოძიებულია	2 წელი
3.1.3	სათავგადასავლო ტურიზმის პროფესიული ჩარჩოს მომზადება; სასწავლო პროგრამა	მესტია	GMGA/ATS	ფონდი მოძიებულია	2 წელი
3.1.4	არსებული სასწავლო კურსების ადაპტირება მესტია/სვანეთის ლოკაციისთვის	მესტია ლენტეხი	GMGA/ATS West Point/უნარების სააგენტო	1 მილიონი EUR	4 წელი
შედეგი	საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სერტიფიცირების პროგრამის დანერგვა და კონკურენტუნარიანი შეთავაზების შექმნა, კადრების ზრდა +20%.				
SI 3.2	მომავლის გიდების საზაფხულო სასწავლო პროგრამა - ტურიზმის ლიდერების პროგრამა	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.2.1	სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერების მომზადების სასკოლო პროგრამა	მესტია ლენტეხი	GMGA/ATS/კოლეჯი თეთნულდი	350,000 EUR	5 წელი
შედეგი	ყოველწლიურად 250-მდე ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას საზაფხულო ბანაკების მუშაობაში.				
SI 3.3	საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ტრენერების მომზადების პროგრამა	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო

3.3.1	სამთო გიდების პროგრამისათვის აკრედიტაცია IFMGA (International Federation of Mountain Guides Associations)	მესტია	GMGA/ATS West Point/განათლების სამინისტრო	50,000 EUR	2 წელი
3.3.2	ტრეკინგის გიდების პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია UMILA (International Union of Mountain Leaders)	მესტია	GMGA/ATS West Point/უნარების სააგენტო	30,000 EUR	2 წელი
შედეგი	გაიცემა - 15 საერთაშორისო სტანდარტის მთის გიდის დიპლომი და 25 ტრეკინგ გიდის საერთაშორისო დიპლომი.				
SI 3.4	სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.4.1	კერძო-საჯარო სექტორის მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმის და დონორი პროგრამების თანადაფინანსების მექანიზმის შემუშავება, პროფესიული სწავლების ხარისხის უზრუნველსაყოფად	მესტია	GMGA/ATS, უნარების სააგენტო, განათლების სამინისტრო, DMO, დონორები, კერძო	ხარჯის გარეშე	2 წელი
შედეგი	პრატიკაში დაინერგება სწავლების თანადაფინანსების კომპლექსური მექანიზმი - სახელმწიფო, ინდუსტრია და დონორები.				
SI 3.5	პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერა გიდების ოფისებისა და გიდების პორტალის მეშვეობით	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.5.1	გიდების პორტალი ფუნქციონირებს და საჭიროებს მუდმივ მხარდაჭერას. გიდების ოფისების წარმომადგენლობის შექმნა ლენტეხში	მესტია, ლენტეხი	GMGA	ფონდი მოძიებულია	მიმდინარე
შედეგი	კვალიფიციური გიდების საქმიანობის ხარისხი იქნება გარანტირებული და ვიზიტორებს ექნებათ წვდომა ამ სერვისზე.				
SI 3.6	უსაფრთხოება და რისკების მართვა სამთო მოგზაურობის დროს	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.6.1	უსაფრთხო ოპერირების სასწავლო კურსი და სწავლების პრაქტიკა	მესტია ლენტეხი	GMGA/ATS/DMO	30,000 EUR	1-5 წელი
3.6.2	უსაფრთხო მოგზაურობის კონცეფციის გაცნობა გაზიარება	მესტია ლენტეხი	GMGA/DMO	15,000 EUR	1-5 წელი

	სახელმწიფო და კერძო პასუხისმგებელ ინსტიტუციებთან				
3.6.3	სათავგადასავლო ტურიზმის ფორუმის შექმნა - არაფორმალური გაერთიანების სახით GMGA/ATS West Point/DMO/Mountain Trails Agency, Resorts Development Agency, GNTA	მესტია	DMO/GMGA/GNTA,	125,000 EUR	5 წელი
შედეგი	მოგზაურობის უსაფრთხოების ხარისხის ზრდა, ეფექტური თანამშრომლობა უწყებებს შორის სამთო-სამაშველო ოპერაციების დროს - უსაფრთხო მთა.				
SI 3.7	პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესება სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში - სასტუმრო, კვება, ტრანსპორტი	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
3.7.1	საჭიროების შეფასება, მოთხოვნის ანალიზი, სასწავლო პროგრამის ადაპტირება, ინდუსტრიის თანამონაწილეობა	მესტია, ლენტეხი	DMO/კოლეჯი თეთნულდი	TBD	1 წელი
3.7.2	სასწავლო პროგრამის აკრედიტირება ინდუსტრიის მოთხოვნების გათვალისწინებით	მესტია, ლენტეხი	კოლეჯი თეთნულდი/უნარ ების სააგენტო	60,000 EUR	2 წელი
3.7.3	ინტერპრეტაციის, კომუნიკაციისა და უცხო ენის კურსები ფართო აუდიტორიისათვის	მესტია, ლენტეხი	კოლეჯი თეთნულდი/უნარ ების სააგენტო	30,000 EUR	2 წელი
3.7.4	ტრადიციული სტუმარმასპინძლობისა და ეთნო-კულტურული თავისებურებების სწავლება-გაზიარება-დანერგვის პრაქტიკული გაკვეთილები	მესტია, ლენტეხი	GMGA/ATS West Point/კოლეჯი თეთნულდი/DMO/ უნარების სააგენტო	60,000 EUR	3 წელი
3.7.5	"კულტურული გიდეების" სასწავლო-ტრენინგ პრაქტიკის გაგრძელება; პრიორიტეტულად ადგილობრივი კადრების მომზადება	მესტია	კოლეჯი თეთნულდი/DMO/ უნარების სააგენტო	60,000 EUR	4 წელი
შედეგი	300-მდე ოპერატორი სტუმარმასპინძლობის სხვადასხვა სფეროდან გაივლის გადამზადებას და მოკლევადიან ტრენინგს.				
SI 3.8	სამთო ბილიკების მოვლა-პატრონობა და ოპერირება	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო

3.8.1	აუცილებელი ბილიკების მოვლა-პატრონობისა და ფინანსირების მექანიზმის შემუშავება კონსულტაციებისა და კოოპერაციის გზით	მესტია, ლენტეხი	DMO/ადგილობრივი ოპერატორები/გიდები	TBD	1-5 წელი
შედეგი	შენარჩუნდება ბილიკების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ვიზიტორების რაოდენობას და ადგილობრივ ეკონომიკურ სარგებელს.				

სტრატეგიული მიზანი 4: სვანეთის პოპულარიზაცია და მარკეტინგი მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე

SI 4.1	ეფექტური 1 წლიანი (ყოველწლიური) მარკეტინგული გეგმა	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.1.1	გასული წლის მარკეტინგული საქმიანობის შედეგების შეფასება	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	შემოდგომა-ზამთარი 2023
4.1.2	სარეკლამო ხარჯების ოპტიმიზაციისათვის ტურინდუსტრიასთან თანამშრომლობა	მესტია ლენტეხი	DMO	5000 EUR	სეზონის დასასრულს
4.1.3	სხვა რეგიონალურ და ეროვნულ DMO-ებთან ერთად სამიზნე ბაზრების და გამოფენების განსაზღვრა	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	შემოდგომა-ზამთარი 2023
4.1.4	პარტნიორობის გეგმების შემუშავება დამტკიცება - განსაკუთრებით იმერეთის DMO-თან (ქუთასი რეგიონალური ჰაბი)	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მიმდინარე
4.1.5	მარკეტინგული გეგმის შემუშავება და საჯაროდ გაზიარება	მესტია ლენტეხი	DMO	5000 EUR	წლის დასასრულს
შედეგი	თანამშრომლობა ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთობლივი მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობების პროცესში, წლიური კალენდარის მომზადება, გამოფენებში მონაწილეობა.				
SI 4.2	სვანეთის ტურისტული ვებგვერდის მომზადება და მართვა	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.2.1	ვებ-გვერდის მომზადება ვიზიტორთათვის მარტივი და მოხერხებული ინტერფეისით	მესტია ლენტეხი	DMO	5,000 EUR	1 წელი
4.2.2	ინფორმაციის მოძიება და გავრცელება - ადგილობრივი სერვისების, ღონისძიებების, შეთავაზებების მიწოდება	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მუდმივი

4.2.3	ვებ-გვერდის მუდმივი განახლებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფა	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
შედეგი	ვიზიტორთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.				
SI 4.3	სვანეთის პოპულარობა ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.3.1	თანამშრომლობა ონლაინ სამოგზაურო ქსელებთან	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.3.2	ტრიპდვაიზორისა და მსგავსი სარეკლამო საშუალებების გამოყენება	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მუდმივი
4.3.3	სათავადასავლო ტურიზმით დაინტერესებულ საზოგადოებასთან წვდომა მიზნობრივი მარკეტინგული ქმედებებით	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.3.4	მაღალი ხარისხის პროფესიული და სამოყვარული ვიდეო და ფოტო მასალის შექმნა და გავრცელება Youtube, Tiktok	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
შედეგი	სვანეთში მოგზაურობით დაინტერესებულ საზოგადოებასთან წვდომა, რაოდენობის ზრდა და კომუნიკაცია.				
SI 4.4	სვანეთის ვიზიტორთა გზამკვლევისა და სამოგზაურო რუკის შექმნა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.4.1	მიმზიდველი და ხარისხიანი გამოცემა/ბეჭდვითი და ონლაინ/ ხარისხიანი ილუსტრაციითა და ზუსტი სამოგზაურო ინფორმაციით ვიზიტორთა გზამკვლევის შექმნა	მესტია ლენტეხი	DMO	5000	შემოდგომა 2023- გაზაფხული 2024
4.4.2	მაღალი გარჩევადობის ინფორმატიული სამოგზაურო რუკების მომზადება და მათი გამოყენება "გის" ფორმატში	მესტია ლენტეხი	DMO	5000	შემოდგომა 2023- გაზაფხული 2024
4.4.3	გზამკვლევისა და რუკის სტრატეგიულ ადგილებში განთავსება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
4.4.4	"სვანეთის მეგზურის" გავრცელება სხვადასხვა არხებით - გაყიდვა, პრეზენტირება, გამოფენები, სასაჩუქრედ.	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
შედეგი	პოტენციურ ვიზიტორებსა და სტუმრებს აქვთ წვდომა საინტერესო ინფორმაციაზე (აეროპორტები, სადგურები, გამოფენები, მაღაზიები), შეუძლიათ დაგეგმონ დამოუკიდებლად ან გიდთან ერთად საკუთარი მოგზაურობა.				

SI 4.5	სამოგზაურო ისტორიებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება, როგორც პოპულარიზაციის ინსტრუმენტი	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.5.1	რეგიონის უნიკალური კულტურულ-ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ ისტორიების მოძიება და ახალი შთაბეჭდილებების გაზიარება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	შემოდგომა 2023-გაზაფხული 2024
4.5.2	სხვადასხვა ისტორიული მოვლენის თხრობა და ილუსტრირების გამოყენება, ისტორიული მოგზაურობა/ალპინისტური ასვლების გამეორება	მესტია ლენტეხი	DMO	10,000 EUR	შემოდგომა 2023-გაზაფხული 2024
4.5.3	სხვადასხვა ცნობილი პიროვნების (მწერლების, მთამსვლელების, ისტორიის მკვლევარების) მოწვევა და ერთობლივი მოგზაურობების შეთავაზება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	შემოდგომა 2023-გაზაფხული 2024
შედეგი	დაინტერესებულ საზოგადოებასთან ემოციური, კულტურული, სპორტული თუ სხვა ტიპის დაახლოება, განუმეორებელი შთაბეჭდილების შექმნა მოგზაურობის დროს.				
SI 4.6	ინტერნეტ ბლოგერებისა და კონტენტის შემქმნელების მოწვევა სვანეთში	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.6.1	თემატური ინტერესის მიხედვით ინტერნეტ ბლოგერების (content creators) მოწვევა სვანეთში სამოგზაუროდ და მათი საშუალებით მიზნობრივ აუდიტორიასთან წვდომა	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.6.2	სპონსორული შეთავაზებები და სამთო თემატიკასთან დაკავშირებული სპორტული ბრენდების მოწვევა	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.6.3	ვიდეო და ფოტოგრაფიული მოგზაურობების ორგანიზება და მათი საშუალებით სვანეთის პოპულარიზაცია	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
შედეგი	პარტნიორობა მოგზაურთა იმ წრესთან რომელთა ინტერესებიც ემთხვევა ან ეხმიანება სვანეთის უნიკალურ შთაბეჭდვას და იძლევა ფართო საზოგადოებასთან წვდომის შესაძლებლობას.				
SI 4.7	ტურ-ოპერატორებთან და ტურისტულ აგენტებთან თანამშრომლობა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.7.1	სტრატეგიული პარტნიორობა ტურისტულ ოპერატორებთან და სააგენტოებთან კავშირები,	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი

	გამოფენები, მოწვევები				
4.7.2	რეკომენდირებული სამოგზაურო პროგრამების ერთობლივი შემუშავება	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.7.3	სასწავლო ტურიების ორგანიზება და მონაწილეობა; ალპური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
შედეგი	თანამშრომლობის გაფართოება პროფესიულ და დარგობრივ წრეებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.				
SI 4.8	სათავგადასავლო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.8.1	პარტნიორების დახმარებით მედია საშუალებების გამოყენება	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.8.2	სვანეთის, როგორც ახალი ტურისტული ადგილის (ზამთარი-ზაფხული) წარდგენა მიზნობრივ გამოფენებზე (დასავლეთ-ცენტრალური ევროპა)	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
4.8.3	მონაწილეობის მიღება ცენტრალურ ტურისტულ გამოფენებზე ITB Berlin, World Travel Market London	მესტია ლენტეხი	DMO	სხვადასხვა	მუდმივი
შედეგი	ზოგადად ცნობადობისა და ინტერესის გაზრდა ევროპის ქვეყნებსა და მსოფლიოში.				
SI 4.9	მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები: ალპინიზმი, აგროტურიზმი, გასტროტურიზმი, ხანგრძლივი დასვენების ადგილი	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.9.1	მიზნობრივი მარკეტინგი - ტრადიციული სოფლის ყოფა, აგრომეურნეობა, სასოფლო ტურიზმი, სხვა.	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
4.9.2	სვანეთის გასტრონომიული თავისებურებების წარმოჩენა - გასტრომომოგზაურობა, სამზარეულოს შეფები სოფელში, სხვა	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
4.9.3	სვანეთი- როგორც ხანგრძლივი დასვენების ადგილი	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
4.9.4	სვანეთი- ახალი აღმოჩენების ქვეყანა -ჯერ კიდევ ბევრია აღმოსაჩენი!	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
შედეგი	სპეციფიკური ინტერესის მქონე საზოგადოებასთან წვდომა და მოგზაურებით დაინტერესება.				

SI 4.10	ბრენდის სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
4.10.1	ბრენდის მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა - ბრენდის მფლობელობა	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მუდმივი
4.10.2	თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნესებთან ბრენდის გამოყენების მიზნით	მესტია, ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	მუდმივი
შედეგი	ბრენდის მიზნობრივი გამოყენება, ცნობადობა და ხარისხის ნიშნის აღიარება.				

სტრატეგიული მიზანი 5: ტურისტული დანიშნულების ადგილის ეფექტური მართვა

SI 5.1	DMO-ს თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
5.1.1	პროფესიული სწავლების მიზნობრივი პროგრამების განხორციელება	მესტია ლენტეხი	DMO/GNTA	5.000 EUR	შემოდგომა- ზამთარი 2023
5.1.2	საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოწვევა/კონტრაქტები კონკრეტული მიზნების მისაღწევად	მესტია ლენტეხი	DMO/GNTA	15.000 EUR	შემოდგომა- ზამთარი 2023
5.1.3	საერთაშორისო შეხვედრებში, სასწავლო ტურებსა და ვორკშოპებში მონაწილეობა	მესტია ლენტეხი	DMO/GNTA	5.000 EUR	ზამთარი 2023- გაზაფხული 2024
შედეგი	საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება და კვალიფიციური პერსონალის მოწვევა საქმიანობაში.				
SI 5.2	ვიზიტორთა სტატისტიკის შეგროვება, ანალიზი და GIS გამოყენება	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
5.5.1	მონაცემების მოძიების მეთოდოლოგია და დამუშავება სვანეთის რეგიონის მაშტაბით; ინტერგრირება ეროვნულ ბაზებში	მესტია ლენტეხი	DMO/GNTA/Geo stat	TBD	შემოდგომა- ზამთარი 2023
5.5.2	საჭიროების მიხედვით მომსახურების შესყიდვა სტატისტიკის მოძიებისა და ანალიზის განსახორციელებლად	მესტია ლენტეხი	DMO	10.000 EUR	შემოდგომა- ზამთარი 2023

5.5.3	ცენტრალიზებული (სერვერზე დაფუძნებული) გის სისტემის დანერგვა მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გაცვლისთვის	მესტია ლენტეხი	კონტრაქტორი	TBD	მუდმივი
5.5.4	სტატისტიკისა და ანალიზის ადმინისტრირების შესაძლებლობის განვითარება	მესტია ლენტეხი	კონტრაქტორი	TBD	მუდმივი
5.5.5	გამოყენებითი უნარჩვევების სწავლება, ადმინისტრატორისა და ოპერატორების მომზადება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	მუდმივი
5.5.6	ხარჯების ოპტიმიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა	მესტია ლენტეხი	კონტრაქტორი	TBD	მუდმივი
შედეგი	მონაცემების შეგროვება და გაცვლა, გეგმარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ოპერირებისთვის.				
SI 5.3	DMO-ს ოპერატიული ეფექტურობის ზრდა	მუნიციპალ იტეტი	პასუხისმგებელ ი	ფინანსურ ი შეფასება	სავარაუდო დრო
5.3.1	სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება ორგანიზაციისათვის (4-წელი)	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	შემოდგომა- ზამთარი 2023
5.3.2	კვარტალური და წლიური ამოცანებისა და შედეგების დაგეგმვა და მონიტორინგი	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	შემოდგომა 2023- გაზაფხული 2024
5.3.3	მოტივირებული და პროფესიული კადრების შერჩევა- დაკონტრაქტება	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	შემოდგომა 2023- გაზაფხული 2024
5.3.4	მუნიციპალიტეტის ცენტრის გარეთ (ხეობებსა და თემებში) წარმომადგენელთა ქსელის შექმნა	მესტია ლენტეხი	DMO	TBD	გაზაფხული- შემოდგომა 2024
5.3.5	ფართე-არაფორმალური თანამშრომლობა ტურიზმის ინდუსტრიის ადგილობრივ წარმომადგენლებთან	მესტია ლენტეხი	DMO	ხარჯის გარეშე	ზაფხული- შემოდგომა 2024
შედეგი	1 წლიანი და 4-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და სამეთვალყურო საბჭოს მიერ დამტკიცება, ფორუმის შექმნის ინიცირება, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ინდიკატორების მონიტორინგი. DMO-ს ეფექტურობისა და მისდამი ნდობის ზრდა ინდუსტრიის მხრიდან.				

SI 5.4	სვანეთის ბრენდის პოზიციონირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
5.4.1	მონაწილეობა ეროვნულ შეხვედრებში, ბრენდის პოპულარობა და წარდგენა	მესტია ლენტეხი	DMO/კონსულტანტი	10,000 EUR	1 წელი
შედეგი	სვანეთის თანმიმდევრული და შეკრული ბრენდის იდენტობის ჩამოყალიბება.				
SI 5.5	მიზნობრივი თანამშრომლობა საჯარო-კერძო სექტორებს შორის	მუნიციპალიტეტი	პასუხისმგებელი	ფინანსური შეფასება	სავარაუდო დრო
5.5.1	DMO სვანეთის წესდებით გათვალისწინებული ანგარიშგება დამფუძნებელთან და საზედამხედველო საბჭოსთან	მესტია	DMO/ინდუსტრიის ლიდერები	5000 EUR	ყოველწლიური
5.5.2	სვანეთის "ტურიზმის ფორუმის" ინდუსტრიის წარმომადგენლობით გაერთიანებაში მონაწილეობა	მესტია ლენტეხი	DMO/ინდუსტრიის ლიდერები	5000 EUR	ყოველწლიური
შედეგი	ტურიზმის განვითარების მიზნით თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეწყობა - პროექტებისა და ინიციატივების ფორმით.				

KPIs - სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის ინდიკატორები

სამოქმედო გეგმა არის დინამიური დოკუმენტი, რომლის მოდიფიკაცია შესაძლებელი და აუცილებელია. შესაბამისად მნიშვნელოვანია არსებობდეს მონიტორინგის შესაძლებლობა, რისთვისაც შემოთავაზებულია წარმატების ინდიკატორები (KPI). ინდიკატორები წარმოადგენს სამოქმედო გეგმის მსვლელობის მონიტორინგის ინსტრუმენტს - „რამდენად წარმატებით სრულდება დაგეგმილი ქმედებები“.

KPI: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები

ურბანული დაგეგმარება და მიწათმოწყობა:

- ურბანული გეგმარებითი დოკუმენტების შემუშავება და უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ მათი დამტკიცება.
- მიწათსარგებლობის რეგულირების დოკუმენტების შექმნა და დამტკიცება უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ.
- ქაოსური განაშენიანების პრაქტიკის შემთხვევების შემცირება და გეგმიური განაშენიანების პრაქტიკის დანერგვა.
- საჯარო და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა-დამტკიცება და მსგავსი სივრცეების გაფართობა.

რეკრეაციული და ტურისტული დანიშნულების ინფრასტრუქტურის პროექტირება და მშენებლობა:

- გეგმიური პროექტირება და დასრულებული ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების რაოდენობა.
- არსებული ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების აღდგენა/რეაბილიტაცია.
- ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების დატვირთვის/გამოყენების კოეფიციენტის ზრდა.
- ვიზიტორების რაოდენობის პროცენტული ზრდა.
- ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტებით მოსარგებლე ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა.

მდგრადი და ხარისხიანი ენერგომომარაგება:

- უწყვეტი და ხარისხიანი ენერგომომარაგების დღე-ღამეში საათების ზრდა.
- ენერგომომარაგების ერთეულ მომხმარებელზე წილობრივი რაოდენობის შემცირება ერთეული მომხმარებლის GDP-სთან მიმართებაში.
- ენერგო ეფექტური ნაგებობების რაოდენობის ზრდა.

საგზაო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტირება:

- მგზავრობის დროის შემცირება ძირითად დანიშნულების ადგილებს შორის.

- კეთილმოწყობილი გზებისა და ხიდების პროცენტული თანაფარდობის ზრდა.
- უსაფრთხოების ინდექსი - საგზაო შემთხვევების რაოდენობის კლება.
- რეგიონალური და შიდა სატრანსპორტო მიმოსვლის ზრდა.

საზოგადო ტრანსპორტი:

- საზოგადო ტრანსპორტის რაოდენობრივი ზრდა.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომა - სარგებლობის ინდექსის ზრდა.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიხშირე - ლოდინის პერიოდის შემცირება.
- მოსარგებლეთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა.

ეროვნული და საერთაშორისო მიმოსვლა:

- ადგილობრივი (მესტია) და საერთაშორისო (ქუთაისი) ფრენების სიხშირის ზრდა.
- სამგზავრო დროის შემცირება და ღირებულების ცვლილება.
- მესტიის აეროპორტის შესაძლებლობების გაზრდა (ფრენის სანავიგაციო სისტემა და მომსახურების ტერმინალი), ვერტმფრენის ბაზირება. ჩიხარეშის აეროპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობების შეფასება.
- დამატებითი ფრენების დანიშვნა და/ან სხვა კერძო მცირე საფრენი აპარატების გამოყენება.

წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება:

- აბონენტთა რიცხვის ზრდა.
- წყალმომარაგების სისტემის დანაკარგების შემცირება
- კანალიზაციის და წყალარინების სისტემების მშენებლობა (გამწმენდი ნაგებობები და ქსელი) ტურისტების მაღალი კონცენტრაციის უბნებში და აბონენტთა რაოდენობის ზრდა.
- რეგისტრირებულ აბონენტებთან მიწოდებული წყლის ხარისხის ზრდა და ჩაღვრილი წყლის დაბინძურების ხარისხის შემცირება.
- კერძო, საუბნო, სასოფლო წყალმომარაგების სისტემების აღრიცხვა და წყლისა და ჩამდინარე წყლის ხარისხის მონიტორინგი.

მყარი ნარჩენების მართვა:

- ნარჩენების მოცულობის შემცირება და დახარისხებისა და გადამუშავების უბნების შექმნა.

- ერთეულ მოსახლეზე ნარჩენების რაოდენობის შემცირება (ნარჩენების მოცულობის შემცირება).
- ნარჩენების შეგროვების (დასუფთავების სამსახური) წერტილების რაოდენობის ზრდა.
- მოსახლეობისა და ვიზიტორების კმაყოფილების ინდექსის მონიტორინგი.

KPIs: საერთაშორისო დონის ტურისტული პროდუქტის შექმნა

ფრირაიდის შესაძლებლობის გაფართოება სათხილამურო კურორტების ირგვლივ:

- ფრირაიდის (გაუკვალავ თოვლში) სრიალის მოყვარულთა რაოდენობის ზრდა.
- სათხილამურო ტრასებისა და ბილიკების ფართობისა და კილომეტრაჟის ზრდა.
- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა.
- საბაგიროების შემოსავლების ზრდა და სეზონის გახანგრძლივება.

სათხილამურო კურორტების ირგვლივ ახალი სკიტურის მარშრუტების ქსელის გაფართოვება:

- ახალი ტრასების-ბილიკების-მარშრუტების რაოდენობა.
- ტრასების სიგრძისა და მრავალფეროვნების ზრდა.
- სათხილამურო ტრასების მოწყობისა და უსაფრთხოების ხარისხის ზრდა.
- მოთხილამურეთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა.

საერთაშორისო შეჯიბრებების, ფესტივალებისა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება:

- ღონისძიებების რაოდენობისა და მაშტაბის ზრდა.
- საერთაშორისო მონაწილეებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდა.
- დადებითი გამოხმაურება სოც-მედიაში (პოსტები, გაზიარება, მოწონებები).
- ეკონომიკური ზემოქმედება, შემოსავლები, დასაქმება, ადგილობრივი ეკონომიკური ეფექტი.

„მემკვიდრეობის ბილიკების კვალდაკვალ“- თემატური მოგზაურობა:

- კულტურულ-ისტორიული ადგილების/ბილიკების რაოდენობა.
- მოგზაურების რიცხოვნობის ზრდა, ბილიკების პოპულარობის ინდექსი.
- ინტერპრეტაციისა და გამოცდილების გაზიარების უნარების ზრდა.

- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა/ბილიკების რეიტინგი.

ისტორიული სოფლების გამოცოცხლება:

- ისტორიული სოფლებისა და უბნების რაოდენობა, სადაც განხორციელდა აქტივობები.
- ვიზიტორთა-მონაწილეთა რაოდენობა.
- ადგილობრივი (ტურისტული) ბიზნესების რაოდენობა და გაყიდვების ზრდა.
- შთაბეჭდილება და გამოცდილების გაზიარება - ვიზიტორთა შეფასებების მიხედვით.

საცხენოსნო, ველო, საფეხმავლო ბილიკების ქსელის განვითარება:

- ცალკეული ტიპოლოგიის ბილიკების რაოდენობისა და სიგრძის ზრდა.
- მოწყობილი ბილიკების სიგრძე და მრავალფეროვნება ვიზიტორთა შეფასებების მიხედვით.
- კმაყოფილების ინდექსი.
- ბილიკების მომხმარებელთა და სერვისის მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდა - ბილიკების რეიტინგი.

სვანეთის სხვა რეგიონებთან დამაკავშირებელი ტურისტული ბილიკები - სამეგრელო-რაჭა:

- დაგეგმილი, მარკირებული და კეთილმოწყობილი ბილიკების რაოდენობა.
- ბილიკებზე მოგზაურთა რაოდენობის ზრდა.
- რეგიონალური თანამშრომლობის პროექტები და ინიციატივები.
- ეკონომიკური ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიებსა და რეგიონებზე.

"გიდი-ბილიკი-ქოხი-მამველი" კონცეფცია:

- შეთავაზება და მიწვდომადობა მსგავს მომსახურებაზე.
- ქოხებისა და თავშესაფრების რაოდენობის ზრდა.
- უსაფრთხოების ინდექსი და სამამველო დახმარების ხარისხი-სანდობა.
- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსი.

სტუმარმასპონძლობის სტანდარტი და ხარისხის გაუმჯობესება:

- ხარისხის სტანდარტის შემოღება, დანერგვა და კონტროლი - განთავსების ობიექტები, საკვები ობიექტები, ტრანსპორტი, ინფორმაციის სანდოობა და სხვა.
- მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსი და ობიექტების რეიტინგი (ვიზიტორთა გამოხმაურებაზე დაყრდნობით).
- განთავსების ობიექტების სერვისების ზრდა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.
- რეიტინგის სისტემის შემოღება და საუკეთესო ობიექტების წახალისება-რეკლამირება.

KPIs: პროფესიული კადრების მომზადება - ტრენინგები და სწავლება

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფილიალის შექმნა მესტიაში:

- ფილიალის დაფუძნება, მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების დაწყება პარტნიორების მხარდაჭერით.
- ტრენინგ პროგრამების (სასერტიფიკატო) რაოდენობა.
- სტუდენტთა რაოდენობა და წარმატებული სტუდენტების თანაფარდობა.
- პროფესიულად მომზადებული კადრების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა.

პროფესიული კარიერული წინსვლის სისტემის შექმნა:

- კვალიფიკაციის ზრდის ეტაპების ჩამოყალიბება და სისტემის დანერგვა.
- მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.
- წარმატებულად დასრულებული სასწავლო პროცესის თანაფარდობა საერთო სტუდენტების რაოდენობასთან.
- კმაყოფილების ინდექსი სტუდენტთა და მასწავლებელთა შეფასებებით.

„მომავლის გიდების“ საზაფხულო ბანაკების პროგრამა:

- პროგრამის მონაწილეობა რაოდენობა.
- წარმატებული სტუდენტების თანაფარდობა საერთო რაოდენობასთან.
- სათავგადასავლო ტურიზმის ლიდერების კურსდამთავრებულთა რაოდენობა.
- დასაქმების პროცენტი და დამსაქმებელთა შეფასება - კმაყოფილების ინდექსი.

ტრენერების (ინსტრუქტორების) მომზადების პროგრამა:

- ტრენერების კურსების მონაწილეთა რაოდენობა და მათი აკრედიტაციის ინდექსი.

- სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდა საერთაშორისო ინსტრუქტორების შეფასებით.
- სტუდენტთა კმაყოფილების ინდექსი.
- აკრედიტირებული ტრენინგ ინსტიტუტების რაოდენობის ზრდა.

სათავგადასავლო სკოლის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა:

- საერთაშორისო დონის სწავლებისათვის საჭირო ფინანსების მოზიდვა-უზრუნველყოფა.
- ინდივიდუალური დაფინანსებისა და მხარდაჭერის წახალისება ინდუსტრიის მხრიდან.
- სასწავლო პროგრამების მიწვდომა და სტუდენტთა რაოდენობის ზრდა.
- ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევების რაოდენობრივი და მოცულობითი ზრდა.

სტუმართმასპინძლობის სფეროში დასაქმებულთა პროფესიული სწავლება და უნარების ზრდა

- სასწავლო-ტრენინგ პროგრამების მონაწილეობა რაოდენობა.
- წარმატებული უნარჩვევებისა დანერგვის პრაქტიკა ინდუსტრიის მხრივ.
- სასწავლო პროცესის მონაწილეთა საქმიანობის ხარისხის ზრდა-ბიზნესის შეფასებით.
- კმაყოფილების ინდექსის ზრდა - დამსაქმებლები.

ტურისტული ადგილებისა და ბილიკების მენეჯმენტი:

- საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მაგალითები.
- მოგზაურობის დროს რისკ ინციდენტების რაოდენობის შემცირება და უსაფრთხო პრაქტიკა.
- კეთილმოწყობილი/მართული ბილიკი-მარშრუტების რაოდენობის ზრდა.
- კმაყოფილების ინდექსის ზრდა მასპინძელ-ვიზიტორთა შორის.

სამთო-სათავგადასავლო გიდების პორტალი და გიდების ოფისების ქსელის განვითარება

- გიდების ოფისების რაოდენობის ზრდა.
- დასაქმებული მთის-სათავგადასავლო გიდების რაოდენობის ზრდა.
- პროფესიული უნარჩვევების დაუფლება და მომსახურების ხარისხი ზრდა.
- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსი და რეიტინგის სისტემის შექმნა.

უსაფრთხოება და რისკების მართვა:

- უსაფრთხოების პროტოკოლის-ნორმების ჩამოყალიბება და მათი დანერგვა.
- რისკების შემცირება და საგანგებო სიტუაციების რაოდენობის კლება.
- უსაფრთხოების ტრენინგები და სერტიფიცირება, რაოდენობა და ხარისხის ზრდა.
- კმაყოფილების ინდექსი ვიზიტორებისა და დამსაქმებელთა შეფასებით.

„მთის მასპინძელი“ კონცეფციის შემუშავება და დანერგვა:

- სასწავლო პროგრამის წარდგენა და პრაქტიკაში დანერგვა.
- სასწავლო პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა.
- მასპინძლობის უნარჩვევებისა და სტანდარტების გაუმჯობესება.
- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსის ზრდა.

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გარდაქმნა ინტერპრეტაციის უნარჩვევებში:

- სასწავლო დოკუმენტაციის მომზადება და პრაქტიკაში დანერგვის ტექტიკა.
- ფორმალიზირებული სასწავლო პროგრამები და მათი პრაქტიკაში დანერგვა.
- ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა და მისი მოვლა-პატრონობა.
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა კმაყოფილების ინდექსი

KPIs: სვანეთის პოპულარიზაცია მსოფლიოს სათავგადასავლო ტურიზმის ბაზარზე

ყოველწლიური მარკეტინგული გეგმის წარდგენა, დამტკიცება და აღსრულების მონიტორინგი:

- DMO-ს მიერ ყოველწლიური მარკეტინგული გეგმის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი.
- ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და მისი კავშირი-მონიტორინგი კონკრეტულ მარკეტინგულ ქმედებებთან.
- ბრენდის ცნობადობის ზრდა და მისი კავშირი სერვისის ხარისხთან.
- მარკეტინგული დანახარჯების ეფექტურობის რეიტინგის შემოღება და მონიტორინგი.

სვანეთი ტურისტული ვებ-გვერდის შექმნა:

- ვებ-გვერდის, სოც-მედიის და შესაძლოა მობილური აპლიკაციის შექმნა, მისი გამოყენების ეფექტურობის შეფასება და გვერდის მუდმივი განახლება (DMO ან მისი კონტრაქტორის მიერ).
- ვებ გვერდის, სოც-მედია გვერდისა და აპლიკაციის მონახულების რაოდენობა და კმაყოფილების ინდექსის შემოღება.
- სვანეთის ვებ-გვერდის დაკავშირება სხვა ვებ-გვერდებთან (საქართველოს სამოგზაურო ვებ-გვერდები და სხვა DMO-ს ვებ გვერდები) და უკუკავშირის გამოყენება.
- პოზიტიური გამოხმაურება და შეფასებების მონიტორინგი.

სოც-მედიაში სვანეთის ცნობადობის ზრდა:

- სოც-მედიაში გვერდის მნახველების, გამოხმაურობის და მოწონების მონიტორინგი.
- სვანეთის, როგორც სამოგზაურო ტურიზმის რეგიონის დამეგობრება სხვა მსგავს რეგიონებთან.
- სხვადასხვა სამოგზაურო პორტალებზე ვიზიტორთა (ინფლუენსერები) პოზიტიური და ნეგატიური გამოხმაურებებზე რეაგირება.
- პოზიტიური გზავნილებისა და შთაბეჭდილებების მოძიება და მათი მარკეტინგული გამოყენება.

სვანეთის ტურისტული/ვიზიტორების რუკის შექმნა და გამოყენება:

- მოგზაურთათვის მისაწვდომი და საინტერესო სამოგზაურო რუკა/ბროშურა/აპლიკაციის შექმნა და გავრცელება.
- რუკის გამოყენებით სამოგზაურო ინფორმაციასთან მარტივი წვდომა.
- ვიზიტორთა კმაყოფილების ინდექსი, მონიტორინგი,

მოგზაურთა ისტორიებისა და შთაბეჭდილებების მარკეტინგული გამოყენება:

- სვანეთის შესახებ ინფორმაციის მოძიების, საინტერესო მოგზაურების ჩამოყვანისა და მათი შთაბეჭდილებების გაზიარების ხელშეწყობა.
- სოც-მედიაში მოგზაურთა შთაბეჭდილებებზე გამოხმაურების სხვადასხვა ფორმის მონიტორინგი (ნახვა, მოწონება, გაზიარება, კომენტარი).
- პოზიტიური გამოხმაურებების რაოდენობის მონიტორინგი და მათი შემდგომი გამოყენება-რეკლამირება.
- სოც-მედია გამოხმაურებების მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის მონიტორინგი და ინდიკატორი.

სასურველი ინფლუენსერების ჩამოყვანა და მასპინძლობის სტუმრობის ორგანიზება:

- კავშირები და ურთიერთინფორმაციის გაცვლა დაინტერესებულ ინფლუენსერ/სვანეთის შესახებ საინტერესო კონტენტის შემქმნელებთან.
- მსგავსი ისტორიების გაშუქება ონლაინ და მათზე გამოხმაურებების მონიტორინგი.
- პოზიტიური გამოხმაურებები და ვიზიტორთა კმაყოფილების შეფასება.

სამოგზაურო აგენტებთან და საერთაშორისო ტურ-ოპერატორ კომპანიებთან თანამშრომლობა:

- ცნობილ სამოგზაურო კომპანიებთან ურთიერთობის დამყარება და მათი სვანეთით დაინტერესება.
- სვანეთით დაინტერესებული მოგზაურების (ორგანიზებული ტურისტული პაკეტების) რაოდენობის მონიტორინგი.
- ტურისტული პაკეტების გაყიდვაში კომპანიების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსით.
- მოგზაურებთან და კომპანიებთან უკუკავშირი და კმაყოფილების შეფასება.

სამოგზაურო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა:

- კავშირებისა და თანამშრომლობის (მემორანდუმები, ხელშეკრულებები, ინდივიდუალური დამკვეთები) ხარისხისა და რაოდენობის შეფასება.
- ბრენდის ცნობადობის საკითხის წინ წამოწევა და მისი გამოყენება რეკლამირების პროცესში.
- დადებითი გამოხმაურებების შეფასება ინდუსტრიის წარმომადგენლების მიერ.

მიზნობრივი სარეკლამო კამპანიების წარმოება:

- წარმატებული მარკეტინგული კამპანიების ჩატარების პრაქტიკა და გამოცდილების გაზიარება.
- მიზნობრივი სარეკლამო ქმედებებით ინიცირებული ვიზიტების რაოდენობის შეფასება.
- დადებითი გამოხმაურებების და კრიტიკული შეფასებების განხილვა და გამოცდილების გაზიარება.

KPIs: ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი

DMO სვანეთი გამოიყენებს მენეჯმენტის პრაქტიკას, რომელიც აპრობირებულია ალპური ქვეყნების მსგავს რეგიონებში:

- საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და სვანეთის რეგიონის საჭიროებებზე მორგება. კონსულტაციების პროცესი მუნიციპალურ და კერძო სტრუქტურებთან.

- DMO-ს მიერ შემუშავებული მენეჯმენტის მოდელის გაზიარება და შეთანხმება.
- DMO-ს სტრუქტურის გაფართოების შესაძლებლობა და კოოპერაცია - ტურიზმის ფორუმის ჩამოყალიბება.

DMO სვანეთის სტრუქტურის დახვეწა და ეფექტური მართვა:

- შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა.
- ადმინისტრირება და პროფესიული კადრების მოზიდვა, ბიუჯეტის ხარჯვის ოპტიმიზაცია.
- ადგილობრივი ტურისტული ოპერატორების მხარდაჭერა.
- DMO-ს საქმიანობის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ (ინდუსტრია, ტურისტები, მუნიციპალიტეტი).

სვანეთის პოზიციონირება ეროვნული მასშტაბით:

- პოზიციონირება და მონაწილეობა ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.
- ბრენდის გამოყენების წესების ჩამოყალიბება და მიკუთვნება/გამოყენება სხვადასხვა სარეკლამო მასალებში.
- სვანეთი ბრენდის ცნობადობა და ბრენდირებული პროდუქტი/შეთავაზების ხარისხის უზრუნველყოფა პარტნიორებთან შეთანხმებით.
- ინდუსტრიის წარმომადგენლებისგან საქმიანობის პოზიტიური შეფასება და მონიტორინგი.

ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვისთვის საჯარო-კერძო სექტორის წარმომადგენლების თანამშრომლობა:

- თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმის შემუშავება (ფორმალური/არაფორმალური) და მხარეების თანხმობის მიღება.
- თანამშრომლობის სფეროებისა და ქმედებების განსაზღვრა და პასუხისმგებლობის განაწილება.
- ერთობლივი პროექტებისა და საპარტნიორო ინიციატივების ხელშეწყობა და პროექტების განხორციელება.
- პარტნიორების მხრიდან პოზიტიური შეფასებების მიღება, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და მათი ილუსტრირება და ანალიზი გის-სისტემების გამოყენებით:

- ვიზიტორთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, მეთოდის შემუშავება და ეროვნულ კვლევებთან ინტეგრაცია.
- სტატისტიკური მონაცემების ვიზუალიზაცია გის ფორმატში და მათზე დაყრდნობით მონაცემთა ცვლილების პროგნოზირება.

- სტატისტიკური მონაცემების გამოყენება ტურისტული არეალების მართვაში, პროგნოზირება და სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრის შეფასება.

დანართები

სეზონური ტურისტული პროდუქტი და შეთავაზება

ტურისტული საქმიანობის სეზონურობის საკითხი განხილულია დოკუმენტის პირველ ნაწილში. საქმიანობასთან დაკავშირებულია მეორე სტრატეგიული მიზანი „ტურისტული შეთავაზების კონკურენტუნარიანობა“ და დანართის სახით ერთვის დოკუმენტს.

ზამთრის სეზონი

სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარება მესტიაში

მნიშვნელოვანია, რომ თეთნულდის სათხილამურო ტრასები დაუკავშირდეს სოფელ მულახს. გზა მესტიიდან თეთნულდის საბაგირომდე 30 კმ სიგრძისაა, ხოლო ბოლო 8 კილომეტრი ცუდ მდგომარეობაშია. ახალი საბაგირო გზის მშენებლობა შესაძლებლობას მისცემს მულახის დასახლებას, განვითარდეს სამთო-სათხილამურო კურორტად (11 ისტორიული სოფელი), სადაც შესაძლებელი იქნება 5000-მდე საწოლი ადგილის მოწყობა ისტორიული განაშენიანების შენარჩუნებით. ეს იქნება ისტორიული მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ასეთი დიდი წარსულის მქონე ადგილი იქცეს თანამედროვე კურორტის საბაზო დასახლებად. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და მიიღო მულახის თემის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების გეგმა. მომზადებულია და შეთანხმების პროცესშია საბაგირო გზის მშენებლობის პროექტიც. საბაგირო გზა მესტიასა და თეთნულდს შორის მგზავრობის დროს გაანახევრებს. შემდეგი ეტაპისთვის შემოთავაზებული საბაგირო გზა კი დააკავშირებს თეთნულდისა და ჰაწვალის საბაგიროებს და შექმნის დიდ სათხილამურო აგლომერაციას.

ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის პროექტი ლენტეხში

ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის ჭუთხაროს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება კვლევის პროცესშია. ახალი კურორტი, რომელიც შესაძლებელია 5000 ჰექტარზე გაშენდეს, ყველაზე დიდი იქნება ამიერკავკასიის რეგიონში და ახალ ტურისტულ ცენტრად

იქცევა. ამ კურორტის მთავარი უპირატესობაა უნიკალური კლიმატური პირობები, თოვლის ხანგრძლივობა, ტრასების მრავალფეროვნება და ქუთაისისა და ამბროლაურის აეროპორტებთან სიახლოვე. სამთო-სათხილამურო კურორტის ჭუთხაროს (ჭითხარო) დაარსება ხელს შეუწყობს ლენტეხის, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებას. თუმცა, ამ ეტაპზე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე წინასწარ რაიმე სახის საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება ნაადრევია.

მნიშვნელოვანია, კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფების რისკების პროგნოზირება და მათი გათვალისწინება პროექტირების ადრეულ ეტაპზე.

საჯარო-კერძო კონსორციუმის მაგალითი - საფრანგეთი Grand Massive / 5 ski resorts

საჯარო და კერძო კომპანიებს შორის პარტნიორობის კარგი მაგალითია „გრანდ-მასივი“-ს სათხილამურო ზონა საფრანგეთში, რომელიც მოიცავს 5 კურორტს. იგი იმართება კომპანია Des Alpes (CDA)-ს მიერ. CDA მონაწილეობდა სვანეთის სათხილამურო ზონების დაგეგმვაში. შესაბამისი მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს მთის ტრასების სააგენტოსთან (MTA). საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა საქართველოში ხელს შეუწყოს თეთნულდისა და ჰაწვალის სათხილამურო კურორტების განვითარებასა და გაფართოებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კურორტების განვითარების სააგენტოს დავალებით კომპანია E&Y & CDA აწარმოებს ტექნიკურ-ეკონომიკურ შეფასებას ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის შექმნისთვის, რომელიც იგეგმება ლენტეხისა და ონის მუნიციპალიტეტებში (ჭითხაროს მასივი).

ზესხოს და აილამას ალპინისტური ბანაკების აღდგენა

ლენტეხის მუნიციპალიტეტში, იგეგმება ყოფილი ალპინისტური ბანაკი აილამს და ზესხოს არდგენა-განვითარება. აილამას ბანაკის აღდგენის პროექტი მომზადებულია კულტურისა და სპორტის სამინისტროს დავალებით (ბანაკის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაშია) და გამოცხადებულია სამშენებლო ტენდერი. ბანაკი ზესხო კერძო საკუთრებაშია და მესაკუთრეების მიერ იგეგმება მისი გაფართოება ინვესტიციების არსებობის შემთხვევაში. ბანაკები მდებარეობს მწვერვალ აილამასა და წურუნგალას მყინვარულ რეგიონში, შესაბამისად პროექტების დროს მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებებით განპირობებული ბუნებრივი რისკების გათვალისწინება.

ჰელისკი და ჰელი-სკიტური

ჰელისკისა და სკიტურის პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. ეს აქტივობა მაღალი დანახარჯების მქონე ვიზიტორთა სეგმენტზეა გათვლილი. მსგავსი ტურისტული პაკეტები რამდენიმე ათასი ევროს ღირებულებისაა. 1990 წლებიდან ამ სერვისს რამდენიმე ქართული და უცხოური კომპანია სთავაზობს ვიზიტორებს (შვეიცარული, ავსტრიული, გერმანული და ქართული კომპანიები). ამ სეგმენტის გაფართოებისთვის საჭიროა ვერტმფრენის ადგლობრივი ბაზირების უზრუნველყოფა. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ოპერირებისათვის საჭიროა სამთო - სამაშველო სამსახური, კომფორტული მთის სასტუმრო, კვალიფიციური გიდი-მოთხილამურე და თავშესაფარი ქოხების სისტემა, რომელიც ასევე გამოყენებული იქნება 4 სეზონის განმავლობაში.

სკიტური და ფრირაიდისთვის განსაკუთრებით საინტერესოა უშგული/მწ. შხარას მიმდებარე ფერდები, მწ. ლაილა - სვანეთის ქედი, სოფ. ცაიშის მიმდებარე ფერდები, ჭალადიდის მყინვარი. ხოლო გაზაფხულის პერიოდში მწ. უშბის მისადგომები და ქორულდის ტბები, თეთნულდ-ჰადიშის ფერდები, მწ. ბანგურიანი, ტვიბერის ხეობა, გულისის უღელტეხილი და ქასაბის მყინვარი. გარდა ზემოთ ნახსენები აქტივობებისა, ეს ლოკაციები საინტერესოა სამთო-ალპინისტურ და საფეხმავლო სალაშქრო ტურებისთვისაც.

კავკასიის მთამსვლელობის (ალპინიზმის) ცენტრი - „მთის მუზეუმი“

ამ ცენტრის შექმნის იდეა აწარმოიშვა რეინჰოლდ მესნერის სვანეთში ვიზიტის დროს. სავარუდო მდებარეობად განიხილება ზურულდის მთაზე საბაგროს მიმდებარე ტერიტორია (ზღვის დონიდან 2400 მეტრზე). კავკასიის მთის ცენტრი იქნება პირველი მუზეუმი, რომელიც შეიქმნა რეინჰოლდ მესნერის მხარდაჭერით კავკასიაში. მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის მთის ცენტრი იყოს რეგიონში ალპინიზმისა და მთიანი რეგიონების ისტორიის მუზეუმი.

ზაფხულის სეზონი

ბილიკების მოწყობა, მარკირება და მოვლა-პატრონობა

GNTA-ს მხარდაჭერით მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა სამთო ბილიკების ქსელი, რომელთაგან ზოგიერთი მონიშნულია, ნაწილის კვლევა მიმდინარეობს, ნაწილი კი პერსპექტიულად ითვლება. ბილიკები აუცილებელია ლაშქრობით დაინტერესებული სტუმრების მოსაზიდად, რაც ამავდროულად დაცლისპირა მაღალმთიან სოფლების ეკონომიკურ აღდგენას შუწყობს ხელს. ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე მარკირებული მარშრუტი არსებობს, რომლებიც უკავშირდება ზემო სვანეთის მარშრუტებს. ამ ქსელის შემდგომი განვითარება აუცილებელია.

ლატფარის უღელტეხილი და მთა გოლდა ამის მაგალითია. ამ დროისთვის ქვემო სვანეთი, როგორც ტურისტული ადგილი, თითქმის არ არის ცნობილი. ზაფხულის სეზონზე პრიორიტეტულია ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი მინიმუმ სამი საფეხმავლო ბილიკის გახსნა. შემოთავაზებული სამი საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ ტურისტული ჯგუფების მოგზაურობა შექმნის მოთხოვნას სხვა სერვისებზე, როგორცაა საცხოვრებელი (საოჯახო სასტუმროები-სასტუმროები), საცხენოსნო მომსახურება, ტრანსპორტირება (მარშრუტის შესასვლელ პუნქტამდე და უკან დასაბრუნებლად), ადგილობრივი გიდი-გამყოლები და სხვა. კალა-უშგული-ლენტეხის დამაკავშირებელი მარშრუტი მიზანშეწონილია სამთო-ველო და საცხენოსნო ტურებისათვის.

ფესტივალები

სვანეთისთვის ფესტივალების მასპინძლობა შესანიშნავი საშუალებაა საერთაშორისო ვიზიტორების მოსაზიდად და ამის პრაქტიკული გამოცდილებაც არსებობს. ფესტივალზე მოგზაურები ეცნობიან სვანურ ტრადიციულ ადათ-წესებს. საჭიროა, დღესასწაულების რეკლამირება ვიზიტორთა დაინტერესების მიზნით. მაგალითად, სვანეთისთვის დამახასიათებელი „ლამპარობა“ ერთ-ერთი ულამაზესი დღესასწაულია, რომელიც გაზაფხულის მოსვლასთან ერთად აღინიშნება. რიტუალის ჩასატარებლად იყენებენ ხის ლამპრებს, ლამპრობის ცეცხლის გარშემო იმართება სიმღერა, ცეკვა, ჭიდაობა და სხვა კულტურული აქტივობები.

მსგავსი ფესტივალებით სვანეთს შეუძლია მეტი ვიზიტორი მიიზიდოს და ადგილობრივებისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები შექმნას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის მდგრად განვითარებას.

ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ტურიზმი

მესტია: კულტურული ექსკურსიები და სვანეთის გამორჩეული კომპლექსების აღდგენა, როგორცაა ქალდან-ნავერიანის კომპლექსი მულახში, ჩარკვიანი ლატალში და ხერგიანი და ჩართოლანი მესტიაში, რომლებიც მოიცავს მიწისქვეშა არქიტექტურას და იზიდავს ისტორიითა და არქიტექტურით დაინტერესებულ ვიზიტორებს. ლენტეხში, ასევე ბევრ მნიშვნელოვან კულტურულ ძეგლს შეხვდებით. მაგალითად, წმინდა საყდრის ტაძარი, ცნობილი ჩუკულის ეკლესია და ოკონდაბიშის პატარა ტაძარი თავისი უნიკალური ფრესკებით. მახას დასახლებაში ვხვდებით სვანური სტილის სახლებს, კოშკებს, დიდდარბაზიან სვანურ სასახლეებს. იმის გამო, რომ დასახლებების უმეტესობა მთლიანად ან ნაწილობრივ დაცლილია, ბევრი ძეგლი ავარიულია და გაქრობის პირასაა. ამ გარემოში, მრავალი ისტორიული რიტუალი და დღესასწაული ასევე მივიწყების საფრთხის წინაშეა. ამის მაგალითია ლიმურყვამალი, ჰაულ-მაული, მამბგუ, სამი ეკლესია და სხვა. ვინაიდან ყველა ეს დღესასწაული საკმაოდ საინტერესოა და თვალწარმტაცად გამოიყურება, მათი აღდგენა და ტურისტულ პაკეტებად გადაქცევა ასევე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ რეგიონის განვითარებაში. ისტორიულ

თემებს ექნებათ ტურისტების მიღებისა და მათთვის გასართობი აქტივობების შეთავაზების შესაძლებლობა; თუმცა ამჟამად საჭიროა ამ სოფლების ურბანული გარემოს შეცვლა. ლახამი ერთ-ერთი მათგანია, ისევე როგორც არაერთი განახლებული კოშკი, რომელიც აღარ გამოიყენება ტრადიციული მიზნებისთვის, როგორცაა მარგიანის მარჯუბი და მესტიის კოშკები, ლენტეხის ციხე და იქ არსებული მუზეუმი.

სპორტული შეჯიბრებები

სპორტული და სათავგადასავლო შეჯიბრებების მასპინძლობა სვანეთისთვის ეფექტური საშუალებაა საუკეთესო სპორტსმენების მოსაზიდად და რეგიონის ცნობადობის გაზრდისთვის. მაგალითად, ისეთი ღონისძიებების მასპინძლობა, როგორცაა Freeride World Tour და Highlander ეს ნიშნავს სვანეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის აღიარებას. ამ ღონისძიებებს შეუძლია მოიზიდოს მონაწილეები და მაყურებლები მთელი მსოფლიოდან, რამაც შეიძლება გაზარდოს ადგილობრივი ეკონომიკა დაბალშემოსავლიან სეზონზე. საინტერესოა ტრადიციული სპორტული-ათლეტური შეჯიბრი-სანახაობების პოპულარიზაცია. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია ძიუდო და ქართული ჭიდაობა, რაც ერთის მხრივ კულტურული ტრადიციის განგრძობაა, ხოლო მეორეს მხრივ ახალგაზრდული სპორტული თამაშების მაგალითი.

მთამსვლელობა

სვანეთს შეუძლია იამაყოს საუკუნოვანი მთამსვლელობის ტრადიციით. დამწყებთათვის, სვანეთის ულამაზესი მთები და განსაცვიფრებელი ბუნებრივი პეიზაჟები შეიძლება გახდეს დიდი სტიმული მთამსვლელობით დაინტერესებისათვის, ხოლო გამოცდილ მთამსვლელებს შეუძლიათ მოსინჯონ ძალები კავკასიის ურთული მწვერვალებზე ასვლებში (უშბა, შხარა, აილამა და სხვა) სვანეთს, როგორც მთამსვლელობის მიმართულების პოპულარიზაციის პერსპექტივის მქონე რეგიონს, შეუძლია მიიზიდოს ღია ცის ქვეშ სპორტითა და თავგადასავლებით დაინტერესებული ვიზიტორების ფართო სპექტრი. ამან შეიძლება სტიმული მისცეს ადგილობრივ ეკონომიკას, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან სეზონზე, როდესაც ტურიზმის სხვა ფორმები შეიძლება ნაკლებად პოპულარული იყოს.

საცხენოსნო ტურიზმი

სვანეთს აქვს დიდი პოტენციალი საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის. სამთო ბილიკებთან დაკავშირებული სასტუმრო სახლები და ქოხები შეიძლება გამოვიყენოთ 4 სეზონის განმავლობაში: ზამთარი-გაზაფხულის დროს სკიტურებისთვის, ხოლო ზაფხული-

შემოდგომის დროს საცხენოსნო, ველო და საფეხმავლო მარშრუტებისთვის. ეს მიდგომა კომფორტულია ტურის დამგეგმავებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ავითარებს მცირე ბიზნესის შესაძლებლობებს. საცხენოსნო ტურიზმის განვითარებით, სვანეთს მიეცემა შესაძლებლობა ტურისტებს შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები და მოიზიდოს ვიზიტორების უფრო ფართო სპექტრი. მრავალდღიანი საცხენოსნო ლაშქრობები არის შესანიშნავი შესაძლებლობა რეგიონის ბუნებრივი სილამაზისა და კულტურული მემკვიდრეობის წარმოსაჩენად და რეგიონის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გასაცნობად.

ეკოტურიზმი და აგროტურიზმი

სვანეთს აქვს დიდი პოტენციალი სათემო ეკოტურიზმის განვითარებისთვის. ბავშვებისთვის შეიძლება მოეწყოს სპეციალური პროგრამები, რათა ისინი გაეცნონ ადგილობრივ ეკოსისტემას, შინაურ ცხოველებს, ცხოვრების ტრადიციულ გზებს, მათ შორის ყველის დამზადებისა და პურის ცხობის ტრადიციებს. მშობლებს შეუძლიათ ჩაერთონ, ისწავლონ ადგილობრივი კერძების მომზადება, მატყლის წეწვა და ტრადიციული სვანური ქუდების დამზადება. შეიძლება შეიქმნას მონიშნული საფეხმავლო ბილიკები, რომლებიც მოერგება ყველა ასაკობრივ ჯგუფს და მათი სპორტული მომზადების დონეს, შესთავაზოს უსაფრთხო და სასიამოვნო გზა რეგიონის ბუნებრივი სილამაზის შესასწავლად.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი

სვანეთი თავისი ბუნებით სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმისთვის იდეალური ადგილია. იოგას, მედიტაციისა და ფიტნესის მზარდი პოპულარობით სარგებლობს. სვანეთს შეუძლია მოიზიდოს ვიზიტორები, რომელთაც სურთ განიტვირთონ და გაჯანსაღდნენ მშვიდ გარემოში. რეგიონს შეუძლია შესთავაზოს სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო პროგრამები. მაგალითად, ვიზიტორებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ იოგასა და მედიტაციის სეანსებში განსაკვიფრებელი მთის პეიზაჟების ფონზე, ისწავლონ სვანური ცეკვა. ისიამოვნონ სამკურნალო პროცედურებით, რომელშიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი ბალახები და ბუნებრივი საშუალებები. სვანეთში ასევე შესაძლებელია შეიქმნას გამაჯანსაღებელი და სპა ცენტრები. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოპულარიზაციის გზით, სვანეთს შეუძლია მოიზიდოს ვიზიტორების ახალი სეგმენტი და დაიმკვიდროს ჰოლისტიკური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი რეგიონის ადგილი.

მდინარის თავგადასავლები

მდინარე ცხენისწყლი არის ჯომარდობის, კაიაკინგისა და თევზაობის მოყვარულთათვის განსაკუთრებით მიმზიდველ ადგილი. მდინარეზე მოგზაურობის განვითარებისათვის საჭიროა მდინარისთან მისადგომებისა (შესასვლელ და გასასვლელ ადგილები) და კემპინგის ზონების კეთილმოწყობა, სერტიფიცირებული გიდეების მომზადება და საჭირო აღჭურვილობის შექმნა (სამაშველო ჟილეტი, ჩაფხუტი, ნეოპრენის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი), სამაშველო ოპერირების გამოცდილება, სამედიცინო დაწესებულებებთან წვდომა, საინჟინრო-ჰიდროენერგეტიკულ ობიექტების ოპერატორ-კომპანიებთან კომუნიკაცია, ტრანსპორტირება და განთავსების უზრუნველყოფა - ყველა ეს საკითხი წარმატებული ოპერირების აუცილებელი წინაპირობაა.

ახალი პოტენციური ბაზრები

ადგილობრივი ტურიზმი

ზემო სვანეთში ადგილობრივი ტურისტთა უმრავლესობა მოგზაურობს სტანდარტული ტურისტული მარშრუტით და შემოიფარგლება მარტივი გაცნობითი-კულტურული ტურებით. ახალი შესაძლებლობის გამოსაყენებლად, ბიზნესს შეუძლია შექმნას მეტი სათავგადასავლო ტურისტული შეთავაზება, რომელიც დააინტერესებს ახალგაზრდებს ისეთი აქტივობებით, როგორცაა ლაშქრობა, თხილამურებით სრიალი, საცხენოსნო ტურები,, პარაპლანით ფრენა, ალპინიზმი და სხვა.

ქვემო სვანეთი, სადაც დღესდროებით ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლების ნათესავები სტუმრობენ, გარდაიქმნება ტურისტული მოგზაურობის საწყის ადგილად, როგორც კი დასრულდება ზემო და ქვემო სვანეთის დამაკავშირებელი სამანქანო გზის რეაბილიტაცია. ამით შეიქმნება მნიშვნელოვანი ტურისტული ნაკადი, რომლის მართვა და შესაბამისი სერვისების მიწოდება იქნება ქვემო სვანეთის ტურისტული განვითარების შესაძლებლობა და ამავდროულად მნიშვნელოვანი გამოწვევა.

საერთაშორისო ტურიზმი

GNTA-ს ტურიზმის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს დასავლეთ ევროპის, აზიისა (არაბეთის ყურე) და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ვიზიტორები. ამ მიზნით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სვანეთის DMO მონაწილეობენ სხვადასხვა უცხოურ გამოფენაში. სხვა პარტნიორებსა და საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობას, როგორცაა სათავგადასავლო მოგზაურობისა და ვაჭრობის ასოციაცია ATTA, შეუძლია კრეატიული გზების შეთავაზება სამიზნე აუდიტორიამდე მისაღწევად, რაშიც იგულისხმება მაღალი მატერიალური მდგომარეობის, სოციალურად შეგნებული, გამოცდილების მქონე, თავგადასავლების მოყვარული მოგზაურების მოზიდვა. სვანეთზე ინფორმაციის მიტანა ამ სამიზნე აუდიტორიამდე სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიის მეშვეობით არის შესაძლებელი.

თემატური ინტერესის ჯგუფები

ჰელისკის, ფირაიდის და სკიტურის ქსელის განვითარებით, სამთო ქოხების ქსელის შექმნითა და სამაშველო სერვისების დანერგვით, სვანეთს აქვს პოტენციური მოიზიდოს ზამთრის სეზონის მიზნობრივი ტურისტები, რომლებიც ეძებენ ექსტრემალურ თავგადასავლებს და მზად არიან ექსკლუზიურ ტურებში დიდი დანახარჯი გასწიონ. ზაფხულის სეზონის თემატურ ტურიზმს შეიძლება მივაკუთვნოთ ჯგუფები, რომელთაც აინტერესებთ ალპინიზმი, საცხენოსნო, გამაჯანსაღებელი, ეკო და აგრო ტურიზმის სახეობები.

სამეცნიერო-აკადემიური-მოხალისე-განათლების (SAVE ნიშნავს SCIENCE-ACADEMY-VOLUNTARY-EDUCATE) ტიპის მომხმარებელი გამოირჩევა სამოგზაურო დროის ხანგრძლივებით, დიდი ჯგუფებით, რომლის დროსაც მოგზაურობა განპირობებულია კვლევითი დავალებებით, საუნივერსიტეტო პროგრამებით ან ზრდასრულთა განათლების ჯგუფური ტურებით.

სამაგიდო კვლევა: დოკუმენტების სია

1. GRETA-ს მიერ მომზადებული დოკუმენტები:
 - ა. ბრენდინგის სტრატეგია სვანეთისთვის
 - ბ. საბაზისო კვლევა
 - გ. GRETA მესამე წლიური ანგარიში
 - დ. Svaneti DMO Professional Capacity Needs Assessment ARC ანგარიში
 - ე. საქართველოს ყველა DMO-ის თბილისის სემინარის ანგარიში, რომელიც ეძღვნება DMO-ს გამოხმაურების შეგროვებას ტურიზმის კანონპროექტისთვის
 - ვ. დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები (4 შეხვედრა) - ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ და პირისპირ შეხვედრებები.
 - გ. კონკრეტული ექსპერტების მიერ მოწოდებული ტექნიკური ანგარიშები (3 მოხსენება)
 - თ. თემატური რუქები GIS ფორმატში: საფეხმავლო ბილიკები, პრიორიტეტული სალაშქრო ზონები სათხილამურო არეალებით და საბაგრო ზონებით, მაღალი ტურისტული ღირებულების შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ისტორიული თემები და ხეობები, მთავარი გზები და ინფრასტრუქტურა, საქართველოს პოზიციონირება და მისი პოტენციური ტურისტული წყარო - ქვეყნები.
2. ლიტერატურა/დოკუმენტი/მონაცემები რეგიონულ დონეზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:
 - ა. ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (2022-2027 წწ.)
 - ბ. მესტიის მუნიციპალიტეტის 2022-2027წწ ადგილობრივი განვითარების სტრატეგია
 - გ. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია 2019-2023 წლებში
 - დ. პოლიტიკურ-ეკონომიკური გარდამავალი საქართველოში და მისი გავლენა ტურიზმზე სვანეთში, საქართველო; FHGR (ადრე HTW)
3. ლიტერატურა/დოკუმენტი/მონაცემები ეროვნულ დონეზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:
 - ა. COVID-19 ტურიზმის აღდგენის სტრატეგია საქართველოსთვის: ტურიზმის აღდგენის ახალი პოტენციალი (2021–2030)
 - ბ. საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია (2025 წ)
 - გ. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021-2027) წწ

დ. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა (2018-2021 წწ.)

ე. საქართველოს მთის დასახლებების განვითარების სტრატეგია (2019-2023) და სამოქმედო გეგმა (2019-2020);

ვ. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021 წწ.)

1. გ. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (2015 წ.)

[Hiking Routes](#)

#	Route Name	Season	start_elev	high_elev	marshut_type_eng	track_type_eng	circular_type_eng	difficulty_eng
1	Mestia - Hatsval - Zuruld-Heshkil	1 June - 30 October	1450	2262	Hiking trail	Unpaved road,path	oneway, circular	intermediate
2	Mestia - Chilaadi glacier	15 July - 15 October	1450	1950	Hiking trail	Unpaved road,path	oneway	intermediate
3	Mestia-ckhakvzagar- Korulda lakes - Mestia	1 June - 10 November	1400	2730	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway	intermediate
4	Mestia - Gul pass - Bechvi (bagvdanar, mazeer)	1 June - 30 October	1400	2740	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	Ver.1 intermediate ver.2 advanced
5	Mestia - Mulakh (Majvdier, Chvabian, Tsadldash, Zhaabesh)	1 June - 30 October	1397	1950	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	easy
6	Lenjaar (lemsia) - Heshkil	1 June - 30 October	1424	1870	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway, draught	easy
7	Lenjaar (Heshkil) - M.Zuruldi	1 June - 30 October	1870	2348	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	intermediate
8	Lenjaar (Heshkil) - Ieli - Tsvirmi	1 June - 30 October	1870	1950	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	easy
9	Lenjaar(Heshkil) - Latli (Lakhudsh)	1 June - 30 October	1870	1962	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	easy
10	Lenjaar (Lemsia) - M.Tebdiash - Lenjaar(Sol)	1 June - 30 October	1424	2553	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	circular	unmarkable, intermediate
11	Latli (Lakhudsh) - Mkheer - Latli (Matskhvarish)	1 June - 30 October	1350	2490	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	circular	intermediate
12	Latli (Matskhvarish) - Mkher- Lentekh	1 June - 30	1300	3590	Hiking trail	Unpaved	draught	advanced


		October				road,path		
13	Mulakh - Sgimzagar - Iphar (Hadiish) . Mulakh - Sgimzagar - Tsvirmi.	1 June - 30 October	1613	2475	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	intermediate
14	Tsvirmi - Iphar (Bogresh, Nakiphar , Zegan) - Lasil pass - Lentekh (Mutsvdi, Tvib, Tekal, Sakdar)	1 July - 30 October	1910	3086	Hiking trail	Unpaved trail,rocks	draught	advanced
15	Latli (Matskhvarish) - Ipkh - Bechvi (Dol)	1 May - 30 October	1300	1700	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway, draught	easy
16	Mulakh (Lakhir - Zhaamush - Cholash) - Tvibeer glacier - Mulakh (Zhaabesh)	1 June - 30 October	1700	2800	Hiking trail	Unpaved road,path	circular, draught	advanced
17	Iphaar (Hadiish) - Chkhurnier pass - Kaal (Iphrall, Lalkhor, Davber	1 June - 30 October	1953	2722	Hiking, Horse riding	Path	draught	intermediate
18	Kaal (Davber) - Latphar - Cholur (Chvelph)	1 June - 30 October	1780	2830	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	intermediate
19	Kaal (Iphral, Lalkhor, Davber) - Ushgul (Murkmel, Chaazhash, Zhvibiani, Lamhurish)	1 May - 30 November	1741	2160	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	easy
20	Lentekhi - M.Goldash - Sakdar	1 June - 30 October	730	2869	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway	intermediate
21	Ushgul - Latphar pass - Cholur (Mam)	15 July - 15 October	2100	2830	Hiking, Horse riding	Path, bridle path	oneway	intermediate
22	Ushgul (Murkmel, Chazhash, Chvibian, Zhibian, Lomjurish) - Shkhara glacier	1 June - 30 October	2081	2520	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway	easy
23	Chikharesh (Mged) - Kelida pass - Racha (Likher, Urav)	1 June - 30 October	833	3036	Hiking, Horse riding	Path	draught	intermediate
24	Tsaan (Zaskhv) - Neshka pass - Vatsistsveri pass-Brili	1 June - 30 October	1835	2909	Hiking, Horse riding	Path	oneway	intermediate
25	Etser - Par- Par (gheshder)	1 June - 30 October	1450	1965	Hiking, Horse riding	Unpaved trail	draught	easy
26	Nakra - Kichkhuldash - M.Kva; 2.2 Tavrar - M.Kva;2.3 Tsaler - M.Tsva	1 June - 30 October	1600	2890	Hiking, Horse riding	Path	circular	intermediate
27	Par (Gheshder) - Nakra (Nak)	1 June - 30 October	1410	1700	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	draught	intermediate
28	Etser (Lantel) - Tskhumar (Svip)	1 May- 30 November	1390	1390	Hiking, Horse riding	Path, bridle path	draught	easy
29	Nakra - Leiraki Waterfall - Tavrani	1 June - 30	1648	2104	Hiking,	Path	oneway	easy

		October			Horse riding			
30	Bechvi (Mazer) - M.Mezir - Etser (Chelir)	1 June - 30 October	1700	2557	Hiking, Horse riding	Path	oneway, draught	easy
31	Chuber (Laroka) - Memuli lake	1 June - 30 October	1235	2758	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway	intermediate
32	Tschuber (Chube kar) - Khark lake	1 June - 30 October	930	2698	Hiking, Horse riding	Unpaved road,path	oneway	easy
33	Nakra (Nak) - Utvir pass - Chuber (Chube margh)	1 June - 30 October	779	2714	Hiking, Horse riding	Path	draught	intermediate
34	Bechvi (Dol) - M.Mezir	1 June - 30 October	1264	2285	Hiking, Horse riding		oneway, draught	intermediate
35	Bechvi(Ushkhvanar) - Ipkh - Latli (Matskvarish)	15 May - 30 October	1700	1550	Hiking, Horse riding	Unpaved trail	oneway	intermediate
36	Bechvi(Mazer) - Shdugvra waterfall - Ushba glacier	1 July - 15 October	1700	2575	Hiking trail	Unpaved trail	oneway	intermediate
37	Tskhumar - Chizhdi pass - Kheled (Mamanur)	1 June - 30 October	1125	3388	Hiking trail	Path	draught	advanced
38	Khaishd - Zhibe ved - Lake Toba	1 July - 30 October	1000	2823	Hiking trail	Path	draught	intermediate
39	Khaishd (Chubeved) - Laghamurashi range	1 June - 30 October	835	2978	Hiking trail	Path	oneway	advanced
40	Khaishd (Chube ved) - Lakamurashi range	1 June - 30 October	1127	2574	Hiking trail	Unpaved road,path	oneway	advanced

რუკების სია

#	Map Name/File name	Print size sm	Map Scale	Notes
1	სვანეთის ადგილმდებარეობა/ Svaneti A5 3000K General.jpg	21X15sm	1:3000000	სვანეთის ადგილმდებარეობა საქართველოში
2	ტურისტული გზები და ბილიკები/ Major Tourist Attractions and Infrastructure of Svaneti.jpg	26X15sm	1:500000	რუკა ეფუძნება 1:500 000 მასშტაბის ზოგად რუკას. ჩანს დასახლებების ადგილები და ძირითადი ტურისტული ადგილები.
3	არსებული სალაშქრო ბილიკები/ SVANETI 100k - Existing and planned Hiking Trails.jpg	140X74.5sm	1:100 000	ყველაზე დეტალური რუკა, ეფუძნება 1:100 000 მასშტაბის ზოგად რუკას. სალაშქრო ქსელის სეგმენტები მოცემულია სხვადასხვა ფერებში სიხისტის მიხედვით. ცალკე წითელი ხაზით ხაზგასმულია სეგმენტები. ეს მონაკვეთები მთელ სვანეთს კვეთს. ჩვენ მას ვუწოდებთ ღერძულ ტრანს სვანეთის მარშრუტს. დამატებით ცხრილში მოცემულია რეკომენდირებული მარშრუტები მოგზაურთათვის ყველა საჭირო ინფორმაციით.
4	Representative network and tourism zoning			რუკაზე წარმოდგენილი სავარაუდო არეალები ემსახურება DMO-ს მართვის გაადვილებასა და სრულყოფას. აღნიშნულ არეალებში DMO-ს წარმომადგენლები განახორციელებენ საჭირო და მოსამზადებელი პროდუქტების შემუშავებას და წარმოდგენას DMO-ს ხელმძღვანელობასთან. ასევე დაკვირვებას მოახდენენ ტურისტული ნაკადების ზრდა-კლების სტატისტიკაზე, ჩამოაყალიბებენ მარკეტინგულ საჭიროებებს არეალთან დაკავშირებული ისტორიების, მოგზაურობების, ასვლების და სხვა საინტერესო თავგადასავლების გათვალისწინებით.

Map 3: Svaneti existing and planned hiking trails with potential hut locations



Map 4: Representative network and tourism zoning

